

სიტყვათგანლაგება მარტივ თხრობით წინადადებაში  
თანამედროვე ქართულში

ცნობილია, რომ ქართული ენა აფიქსებით მდიდარი, აგლუტი-  
ნაციური ენაა. ეს ფაქტი საფუძვლად დაედო მოარულ მოსაზრებას,  
რომლის თანახმად სიტყვათგანლაგება — მეტადრე თანამედროვე  
ქართულში — არ ასრულებს გრამატიკულ ფუნქციას, მას მხოლოდ  
სტილისტიკური დატვირთვა აქვს. სხვანაირად რომ ეთქვათ, სიტყვათ-  
განლაგება ქართულში თავისუფალია.

მიუხედავად ამისა, შეცდომა იქნებოდა გვეფიქრა, რომ სიტყვათ-  
განლაგება ქართულში საესებით ნებისმიერია. ზემოაღნიშნული ტრა-  
დიციული მოსაზრება სიტყვათგანლაგების თავისუფლების შესახებ  
შეფარდებითად უნდა გვესმოდეს, რამდენადაც არამცთუ გამოირი-  
ცხება, არამედ იგულისხმება კიდევ ცალკეულ შეზღუდვათა არსებო-  
ბა. ამ პირობებში ნათელი ხდება სიტყვათგანლაგების მჭიდრო კავში-  
რი ენის ნორმის საკითხებთან.

„როგორ უნდა დავალაგოთ სიტყვები ისე, რომ გამოვიდეს ბუ-  
ნებრივი ქართული წინადადება?“<sup>1</sup> — ამ საკითხის მოწესრიგების სა-  
ჭიროება არაერთგზის აღნიშნულა ქართულ პრესაში.

როგორც ჩანს, საკითხი მტკივნეულია და მოსაგვარებელი<sup>2</sup>.

რა იგულისხმება „სიტყვათგანლაგებაში?“

<sup>1</sup> გ. გაჩეჩილაძე, გადაუღებელი ამოცანა, ვაზ. „ლიტერატურული სა-  
ქართველო“, 1970, 31.VII.

<sup>2</sup> სიტყვათგანლაგების ზოგიერთ კერძო საკითხზე აქ არ შევჩერდებით, რად-  
გან ისინი განხილული გეაქვს შემდეგ ნაშრომებში: სიტყვათგანლაგებისათვის  
კითხვით წინადადებაში, თსუ ფილოლ. ფაკ. XII სესია (თეზისები), 1968; სიტყვა-  
თა რივი ავტორისეულ რეზარკაში, თსუ, ახალგაზრდა მეცნ. მუშაკთა შრომები, I,  
1971; ინვერსიის სტილისტიკური დანიშნულებისათვის, თსუ შრომები, B 4(143);  
1971; დროის კატეგორია როგორც სიტყვათა მორგანიზებელი წინადადებაში,  
თსუ შრომები, B 5, 1972.

ჩვეულებრივ, ამ ცნებაში იგულისხმება არა მეტყველების ნაწილთა განლაგება, როგორც ამას თვით ცნება მიანიშნებს („სიტყვა“ მორფოლოგიური ცნებაა. სიტყვები იყოფა მეტყველების ნაწილებად), არამედ წინადადების წევრთა განლაგება. მაშასადამე, თვალსაზრისი სინტაქსურია.

როგორ უნდა გვესმოდეს გამოთქმა „ბუნებრივი წინადადება“?

როცა ერთმანეთისაგან ვმიჯნავეთ ბუნებრივ, ჩვეულებრივ წყობას ნაკლებ ბუნებრივი ან უჩვეულო, არაბუნებრივი წყობისაგან, ცხადია, არსებითად და უწინარეს ყოვლისა, ვეყრდნობით ამა თუ იმ ვარიანტის ხმარების სიხშირეს (ბუნებრივია ის, რაც ხშირად მეორდება). ამ კონტექსტში გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება სტატისტიკურ გათვლებს. მაგრამ მათი სწორად გამოყენებისათვის საჭიროა წინასწარ ანგარიში გაეწიოს წინადადების ტიპებს — სიგრძის, შედგენილობისა და მოდულობის თვალსაზრისით. წინააღმდეგ შემთხვევაში, ყველა სახის წინადადებათა მოქცევა ერთ ჩარჩოში უფრო მეტს მოგვეცემდა ზოგადად მეტყველების დახასიათებისათვის, ვიდრე საკუთრივ სიტყვათა განლაგების დახასიათებისათვის. აქედან გამომდინარე, „ბუნებრივის“ ცნების კვალიფიკაციისას უნდა ვიხელმძღვანელოთ პრინციპით: ბუნებრივია ის, რაც ხშირად მეორდება გარკვეულ ტიპობრივ კონტექსტში.

წინადადების წევრთაგან ზოგიერთის ადგილი საკმაოდ შესწავლილია და, ამდენად, გარკვეულიც. ასეთად მიიჩნევა განსაზღვრება, რომლის ადგილი თანამედროვე ქართულში მკაცრად ფიქსირებულია საზღვრულის წინ (პოეტიკური მიზნებით ცალკეული დარღვევა-გადახვევები მხედველობაში არ მიიღება). რაც შეეხება რამდენიმე მსაზღვრელის რიგს, მათი საკითხი აგრეთვე მოგვარებულად შეიძლება ჩაითვალოს. ამიტომ განსაზღვრების ადგილის საკითხს აქ აღარ შევეხებით. მაშასადამე, მოსაწესრიგებელი რჩება მხოლოდ იმ წევრთა პოზიციების საკითხი, რომლებიც უშუალოდ შემასმენელს უკავშირდებიან და, ამრიგად, მონაწილეობენ წინადადების „ჩონჩხის“ შექმნაში.

### 1. შიშასმენლის ადგილი

„სიტყვათა დალაგებისათვის წამყვანია შემასმენლის პოზიცია“<sup>3</sup>. მართლაც, შემასმენელი წინადადების ძირითადი კოორდინა-

<sup>3</sup> ლ. კვავაძე, თანამედროვე ქართული ენის სინტაქსი, თბ., 1966, გვ. 225.

ტია<sup>4</sup>; მასთანვე არის დაკავშირებული პრედიკაციაც; იგი არის აუცი-  
ლებელი და საკმაო პირობა წინადადების განხორციელებისათვის;  
ერთადერთი წევრია, რომელსაც უკავშირდებიან სხვა წევრები (გარ-  
და განსაზღვრებისა, რომლის პოზიციის განხილვას აზრი აქვს მხო-  
ლოდ სუბსტანტიურ სინტაგმაში). შემასმენლის ამგვარი გამორჩეუ-  
ლობის გამოა, რომ ხშირ შემთხვევაში სპეციალისტთა კამათი სი-  
ტყვათგანლაგების შესახებ ქართულში ფაქტიურად იგვევა, რაც კა-  
მათი შემასმენლის ადგილის შესახებ.

თხრობით წინადადებაში შემასმენლის ადგილის სპეციალურმა  
განხილვამ დაადასტურა ი. გოგებაშვილის იმ დებულების სისწორე,  
რომლის თანახმად შემასმენელი ბოლოკიდურია მოკლე წინადადე-  
ბაში, ვრცელში კი მას შუა ადგილი უჭირავს (ცხადია, ლაპარაკია  
ტენდენციებზე, და არა ურყევ წესებზე).

განალიზებულ იქნა სხვადასხვა სიგრძის — ორწევრა, სამწევრა,  
ოთხწევრა, ხუთწევრა, ექვსწევრა და შვიდწევრა — წინადადებები  
(თუმცა ამ უკანასკნელთა რაოდენობა მეტისმეტად მცირე აღმოჩნდა  
მტკიცე კანონზომიერების დასადგენად).

გამოირკვა, რომ შედარებით მოკლე წინადადებებში (ორ-, სამ-  
და ოთხწევრა წინადადებებში) შემასმენელი ძირითადად ბოლო-  
კიდურია.

#### ნ ი მ უ შ ე ბ ი :

ჩვენ არ მოგვიკლავს (დ. ქიაჩ.).

ძიების შედეგს ველოდით (დ. ქიაჩ.).

იქ სამართალი არ გიბრუნდებდა (ილია).

მე პოლიტიკურ დამნაშავეზე ვლაპარაკობ (ვ. ქიქ.).

ეზოში ერთხანს უმიზნოდ ვიბორიალე (დ. შენგ.).

იმის თვალები ცეცხლივით ბღღერიალებდნენ (ი. გოგებ.).

გრძელ (ხუთ-, ექვს- და შვიდწევრა) წინადადებებში შემასმე-  
ნელს ყველაზე ხშირად უჭირავს ბოლოსწინა პოზიცია (ხუთწევრა-  
ში — ერთი ბოლოსწინა პოზიცია, ექვსწევრაში — ორი, ხოლო შვიდ-  
წევრაში — სამი ბოლოსწინა პოზიცია), შემდეგ კი — ბოლოკიდუ-  
რი. ეს უკანასკნელი ფაქტი იმის დადასტურებაა, რომ ბოლოკიდუ-  
რობისადმი სწრაფვა შემასმენლის ბუნებრივი ტენდენციაა. ერთ-  
ერთი მიზეზი ამისა ნათელია: მეტყველებაში მოკლე წინადადებათა  
რაოდენობა, რომლებშიც შემასმენელი უპირატესად ბოლოკიდურია,

<sup>4</sup> არნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა, მარტივა წინადადების პრობლემა ქართულში, თბ.,  
1968, გვ. 219.

დიდად აღემატება გრძელი წინადადებისას, რის გამოც ბატონობს ხსოვნა შემასმენლის ბოლოკიდურობისა.

მაშასადამე, ტენდენცია ასეთია: წინადადების სიგრძის ზრდასთან ერთად ძლიერდება შემასმენლის ე. წ. ცენტრისკენული მოძრაობა.

### ნ ი მ უ შ ე ბ ი :

მელანია პირველად თითქმის ყოველივეში ემორჩილებოდა ამათ (ე. ნინოშ.). პირველ სურათზე ქალი პირის დასაბანათ სურით წყალს უსხამს ყმაწვილს (ნ. ლორთქ.).

ამის გამო კაცი უნებურად თავს მოარიდებდა პირველ თვალის მოსწრებაზედ (ილია).

ამ სიტყვებით დასორდნენ იმ დღეს ლევან და მელანია ერთმანეთს (ე. ნინოშ.).

რა განაპირობებს შემასმენლის ცენტრისკენულ მოძრაობას ვრცელ წინადადებაში?

მიზეზი ორი ჩანს: 1. შემასმენლის სინტაგმატური კავშირი სხვა წევრებთან და 2. წინადადების წარმოთქმის რიტმულ-ინტონაციური თავისებურება.

### ნათელვყოთ ეს მიზეზები:

1. როგორც ზემოთ აღინიშნა, შემასმენელი ერთადერთი წევრია, რომელსაც უკავშირდებიან სხვა წევრები. მოკლე წინადადებებში შემასმენელთან უშუალო მეზობლობაშია მხოლოდ ერთი — წინამავალი წევრი, დანარჩენთაგან ერთი (ან, მაქსიმუმ, ორი) წევრი შემასმენელს დისტანციურად უკავშირდება. ეს შემასმენლის ბუნებრივი და ჩვეული მდგომარეობაა. წინადადების დაგრძელებისას შემასმენელი ცდილობს თავისი ბუნებრივი მდგომარეობის შენარჩუნებას, რასაც იგი აღწევს მარცხნივ გადაანაცვლებით. ყოველი ახალი წევრის გამოჩენა ნიშნავს შემასმენლის თითო აღგილით გადაწევას მარცხნივ. ამით შემასმენელი წყვეტს (არღვევს) ერთმანეთთან დაუკავშირებელი სიტყვების გრძელ ჯაჭვს და ამყარებს ორმხრივ კავშირს წინადადების სხვა წევრებთან.

2. წინადადება, გარდა სემანტიკური და სინტაქსური ოდენობისა, რიტმულ-ინტონაციური ოდენობაცაა. თუ შემასმენელი — გამონათქვამის ღერძი და აზრის გამაფორმებელი — ბოლოკიდურია, მისკენ მიმავალ ვაზზე მდებარე სიტყვები ერთ აზრობრივ და, შესაბამისად, ინტონაციურ ტალღაზე წარმოითქმის. მოკლე წინადადება ამგვარ დატვირთვას შედარებით ადვილად უძლებს. წინადადების დაგრძელებისას ეს საწარმოთქმო დაბრკოლება უფრო ძნელი გადასალახავი ხდება. წინადადებას უმუშავდება იმუნიტეტი წონასწორო-

ბის შენარჩუნება-დაცვისადმი. შემასმენლის მარცხნივ გადაწევა რიტმულად ანაწევრებს წინადადებას: შემასმენლის, როგორც წინადადების განმახორციელებლის, წარმოთქმას გარკვეული (რეალური და პოტენციური) ყოვნა ახლავს.

მაშასადამე, შემასმენელი და თვით წინადადებაც ავლენენ ახალ საწარმოთქმო პირობებთან შეგუების გარკვეულ ნიშნებს.

ზემოთქმულიდან სხვა დასკვნაც გამოძვინარეობს. კერძოდ, შემასმენლის უშუალოდ წინამავალი სიტყვა მჭიდროდ უკავშირდება მას, მომდევნო კი — შედარებით სუსტად, რამდენადაც მას წინ პაუზა უძღვის. ამითვე აიხსნება პირდაპირი დამატებისა და, განსაკუთრებით, ვითარების გარემოების კონტაქტური პრეპოზიცია შემასმენლის მიმართ (უფრო დაწვრილებით იხ. ქვემოთ). ვითარების გარემოების, როგორც მოქმედების განსაზღვრების, პოზიცია მსგავსია მსაზღვრელის პოზიციისა საზღვრულის მიმართ.

რაც შეეხება დისტანციურ პოზიციას, იგი წინადადების წევრებთან სუსტი კავშირის მომასწავებელია.

მაშასადამე, სიტყვების განაწილებას შემასმენლის გარშემო შეუძლია სიტყვათა კავშირების გაძლიერება-მოდუნების სათანადო რეგულირება.

გრძელ წინადადებაში შემასმენლის შემაკავშირებელი ძალა რამდენადმე სუსტდება, რადგან იგი ნაწილდება რამდენიმე სიტყვაზე. რაც უფრო მოკლდება წინადადება, მით უფრო იზრდება გამოთავისუფლებული ძალა. წინადადებაც უფრო კომპაქტური ხდება. მაქსიმალური სიმჭიდროვე წევრებს შორის, როგორც მოსალოდნელი იყო, გვაქვს ორწევრა წინადადებაში<sup>5</sup>, რომელიც ფარავს სინტაგმის ცნებას. მართლაც, თუ დავუშვებთ შესაბამისობას წევრთა შეკავშირებითს ძალასა და პოზიციებს შორის, ბუნებრივი მოგვეჩვენება ის მაღალი პროცენტი, რომელსაც გვიჩვენებს პოსტპოზიციური შემასმენელი (საშუალოდ — 74%).

---

<sup>5</sup> შ. ბ. ა. ლი წერს: „რაც უფრო უახლოვდება შეხამება წინადადებას, ხოლო ეს უკანასკნელი — პერიოდს, სიტყვათა რიგის თავისუფლებაც შესაბამისად იზრდება“ (Ш. Балли, *Общая лингвистика и вопросы франц. языка*, М., 1955, გვ. 223).

მაშასადამე, აზრობრივი ერთეულის მოცულობის ზრდა (იგულისხმება წინადადების წევრთა რაოდენობის მატება) მოქმედებს წინადადების წევრთა დამოუკიდებლობაზე და, აქედან, სიტყვათგანლაგების თავისუფლებაზედაც.

## 2. ქვემდებარის ადგილი

თანამედროვე ქართულში ქვემდებარე ძირითადად თავკიდურიან<sup>6</sup> ამდენად, მისი პოზიცია ხშირად უპირისპირდება შემასმენლისას, რომელიც უპირატესად ბოლოკიდურია.

ნ ი მ უ შ ე ბ ი:

მეც მალე დავიძინებ (ილია).

ღიამბეგმა ყველაფერი გამოიკითხა (ილია).

მატყარი ფეხზე-ფეხ გადადებული ფანჯარასთან იჯდა (ნ. ლორთქ.).

დარეჯანმა მატყლის წინდის ქსოვა დაიწყო (ილია).

ეს ამბავი სადილობის დროს მოჰხდა (ილია).

გრძელ წინადადებებში ქვემდებარე რამდენადმე მარჯვნივ ინაცვლებს, შემასმენელი კი, როგორც ზემოთ აღინიშნა, — მარცხნივ. მაშასადამე, წინადადების ეს ორი მთავარი წევრი ერთმანეთისაკენ შემხვედრ მოძრაობას ასრულებს. ამ დროს თავკიდურ პოზიციაში დგება რომელიმე გარემოება, განსაკუთრებით კი, ადგილის, დროის ან მიზეზის გარემოება.

ნ ი მ უ შ ე ბ ი:

იქ ღმერთი გაარჩევდა ბრალიანს და უბრალოს (დ. კლდ.).

სალამო ეამს უსულდნარები თოშის ქერქით პირს უცებ იკრავდნენ (დ. შენგ.).

წუხანდელი ქეცვისათვის მე შენ უთუოდ ჯვარზე წავადგენ (ა. ყაზბ.).

თუ ქვემდებარეს ლოვიკური მახვილი მოუღის, მაშინ იგი უშუალოდ შემასმენლის წინ ექცევა:

ბოლო ხანებში ფრანგულს პირველობაში ინგლისური ეცილება (არნ. ჩიქობ.).

მეცნიერი კაცისათვის ყველაფერი შესაძლოა (ილია).

აქამდინ სწავლის გაგრძელებას უბრალო ხალხში ბატონ-ყმობა უშლიდა (ი. გოგებ.).

პირველად დათვთან გამარჯვების მისალოცად მგლები წარდგნენ (ვაჟა).

ქვემდებარის პოზიციაზე მნიშვნელოვნად მოქმედებს ზმნის გარდამავლობა. ვინაიდან სამპირიანი ზმნა პრაქტიკულად იშვიათად გვხვდება ქვემდებარესთან ერთად, ორიენტაცია აღებულია ორპირიან და ერთპირიან ზმნებზე.

იჩვენება, რომ ქვემდებარის პრეპოზიცია განსაკუთრებით ჭარბობს გარდამავალ ზმნებთან. ორპირიან გარდაუვალ და ერთპირიან

<sup>6</sup> ბ. ფოჩხუას აზრით, ქვემდებარის თავკიდურობა საერთო ენობრივი მოვლენაა (ბ. ფოჩხუა, სიტყვათგანსაზღვრისათვის ქართულში, იბმ, XIII, გვ. 118).



ზმნებთან თუმცა ქვემდებარე უწინდებურად წინ უსწრებს შემასმენელს, მაგრამ არა ისე ინტენსიურად, როგორც გარდამავალ ზმნასთან შეხამებისას. სხვანაირად რომ ვთქვათ, ქვემდებარის პოსტპოზიციის შემთხვევები ძირითადად ზმნის ხარჯზე გვხვდება. თქმული არ ეხება ამინდისა და დროის სემანტიკური ჯგუფების შემცველ აღწერით წინადადებებს.

ნ ი მ უ შ ე ბ ი:

შუადღე მოსჯარდა (ვაჟა).

კარგა ხანმა გაიარა (ლ. ქიაჩ.).

საშინელი ცული ღარები დაიჭირა (ე. ნინოშ.).

ღიღი ხანი გავიდა (მ. ჯავახ.).

თითქმის უგამონაკლისოა აბსტრაქტული სახელებით გამოსატული ქვემდებარის პრეპოზიციის:

წყურვილი მახჩობს (ნ. ლორთქ.).

ბედმა დამიბრია (ვაჟა).

ცნობისმოყვარეობამ აიტანა (ნ. ლორთქ.).

ბრაზი მალჩობს, ბრაზი (ვაჟა).

ეს ფაქტი იმით უნდა იყოს გამოწვეული, რომ აბსტრაქტული სახელები, ჩვეულებრივ, მონაწილეობენ ფრაზეოლოგიურ შესიტყვებებში ან იდიომებში, ამ უკანასკნელებში კი ზმნების პოსტპოზიციის თითქმის მყარია. საერთოდაც, იდიომებსა და იდიომატურ გამოთქმებში სიტყვათგანლაგება განსაკუთრებული სტაბილობით ხასიათდება.

ახლა ენახოთ, დასტურდება თუ არა უკუწყობის ტიპობრივი ნიმუშები.

ანალიზის შედეგად გამოიყოფა ერთი ტიპის კონსტრუქცია, რომელსაც თხრობაში პერსონაჟის ან საგნის შემოყვანის ფუნქცია აკისრია<sup>7</sup>.

აღნიშნული კონსტრუქცია გვაქვს სტერეოტიპული ყალიბების მქონე ნაწარმოებებში, როგორცაა, მაგალითად, ზღაპრები. ამ უანარის ნაწარმოებები, ჩვეულებრივ, იწყება ამ სიტყვებით: იყო და არა იყო რა, იყო ერთი მეფე (კაცი)<sup>8</sup>, სადაც შემასმენელს (იყო) თხრო-

<sup>7</sup> ამ ტიპის წინადადებებს პირობითად „ინტროდუქციულ წინადადებებს“ ვუწოდებთ (ინგლ. introduction — „შესავალი“, „შეყვანა“, „წარდგენა“).

<sup>8</sup> აღნიშნული კონსტრუქციის ხმარება ზღაპრებში ზოგადენობრივი მოვლენა უნდა იყოს (მაგ., რუს. Жил-был один царь; ინგლ.: Once upon a time there was a king).

ბაში შემოჰყავს პერსონაჟი (მეფე, კაცი...), რომელიც პირველად  
ჩხსენიება. კიდევ ამიტომ ახლავს მას განუსაზღვრელი ნაცვალსახე-  
ლი „ერთი“.

ამავე ფუნქციისაა „არის“, „არსებობს“ და მისთ. ზმნების შემ-  
ცველი შეხამებანი, რომლებშიც საინტერესოა არა ამა თუ იმ საგნის  
ამა თუ იმ გარემოში (დროში, სივრცეში...) არსებობა, არამედ თვით  
არსებობის ფაქტი.

### ნ ი მ უ შ ე ბ ი :

არ არის ორი ზოგადი მსჯელობა (ვ. ბაქრ.).

არსებობს მსჯელობის მრავალი სახე (ვ. ბაქრ.).

არის ორნაირი სიღუბნური (გ. ჭიჭ.).

არის მიზეზი (ილია).

ნიშანდობლივია ქვემდებარის პოსტპოზიციის ისეთ ზმნებთან, რო-  
მელთა მიერ გამოხატული მოქმედება უსწრებს არსებობას.

უნდა შეიქმნას ლოგიკური ფორმების თეორია (ვ. ბაქრ.).

გაჩნდა ბაზარი (ლ. ჭიჭ.).

იქმნება უცნაური მდგომარეობა (ვ. ბაქრ.).

იზადება კანონიერი კითხვა (ვ. ბაქრ.).

რამდენადაც ზემოჩამოთვლილი ზმნები გარკვეული აზრით სი-  
ნონიმიებია, და ყველა მათგანს „გაჩენა-წარმოშობის“ სემანტიკა აქვს,  
მოსალოდნელია მსგავსი სურათი გვიჩვენონ მათ მიმართ ანტონი-  
მურმა სიტყვებმა. მართლაც, ზმნები „გაქრა“, „დაიკარგა“... ზუს-  
ტად იმეორებენ უკვე განხილული ზმნების ქცევას.

### მ ა გ .:

გაქრა ქრისტიანს მზიარულება და სიცილ-კისკისი (ე. ნინოშ.).

გაქრა სიზმარი, გაქრა ოცნება (ვაჟა).

გაქრა, დაიკარგა ჩემი „თვალთმახი“ (ვაჟა).

ამავე რიგში დგას დროის ამა თუ იმ მონაკვეთის დადგომა-მო-  
ახლოების ან უამთა სვლის სემანტიკის შემცველი კონსტრუქციები:

დადგა გაზაფხული (ი. გოგებ.).

მაგრამ დაახლოვდა იგერ 1841 წელი (ე. ნინოშ.).

დადგა შობის დღესასწაულები (ნ. ლორთქ.).

გაიარა რამდენიმე დღემ (დ. კლდ.).

გავიდა ცოტა დრო (ი. გოგებ.).

ამ ტიპის წინადადებებში უკუწყობა ძველი ქართულიდან მომ-  
დინარე ჩანს (მაგ.: გამოკლა ხანი).



მოცემული ტიპის ქვემდებარე პოსტპოზიციურია შემდეგი სახის ფორმულებშიც: „ლაპარაკობს თბილისი“, „გაბატაკებთ ოფიცერი ქავთარაძე“ და მისთ. ესენი ენობრივი კალკების ნიმუშებია.

ქვემდებარე პოსტპოზიციისაკენ მიისწრაფვის მაშინაც, თუ მოძრაობა — გადაადგილების აღმნიშვნელ „ენერგიულ“ ზმნებთან არის შეწყობილი.

- მოვარდა ვეებერთელა ვატა (ი. გოგებ.).
- წამოიშალნენ სუფრაზე მსხდომნი (ლ. ქიან.).
- ავარდა კორიანტელი (ა. უაზ.).
- შემოციენდა სარღლის ვარი (ნ. ლორთქ.).
- წამოცვივდნენ სუყველა ზეზე (აკაკი).

ნაკლებ ტიპობრივი, მაგრამ საკმაოდ ხშირია ქვემდებარის პოსტპოზიციის შემთხვევები ემოციური შინაარსის ზმნებთან (იგულისხმება გრინობა-აღქმის ზმნები):

- შეშინდა საწყალ ხიორასა (ი. გოგებ.).
- გარისხდა თავიდი (აკაკი).
- შეწუხდა ქართველობა (ილია).
- მოიწყინა ყვავილმა (ნ. ლორთქ.).

### ქვემდებარე + შედგენილი შემასმენელი

ქართულში შედგენილ შემასმენელს, რომელიც ძირითადად „ყოფნა“ დამხმარე ზმნით არის წარმოდგენილი, გამაიგივებელი ფუნქცია ეკისრება. მართლაც, დამხმარე ზმნა სხვა არა არის რა, თუ არა ტოლობის ნიშანი და გამოიყენება ამა თუ იმ ცნების განსაზღვრისათვის ანუ დეფინიციისათვის. მაგალითად, გამონათქვამი — „მერცხალი არის ფრინველი“ (ან: „მერცხალი ფრინველია“) გულისხმობს, რომ ყველა მერცხალი ფრინველია. მაშასადამე, ნეიტრალური განსაზღვრის დროს ჯერ დასახელებულ უნდა იქნეს კონკრეტული სახეობის აღმნიშვნელი სახელი (მერცხალი), შემდეგ კი — ზოგადი, გვარის აღმნიშვნელი სახელი (ფრინველი). იმავე კომუნიკაციური დანიშნულებით შეუძლებელია ამ სახელებს ადგილები შეუწინაცვლოთ. კერძოდ, გამონათქვამი: „ფრინველი არის მერცხალი“ (ან: „ფრინველია მერცხალი“), თუკი დავიცავთ აღრინდელ ინტონაციას (აღმავალ-დამავალს), აზრობრივად არასწორია, არალოგიკურია. ეს წყობა შეიძლება დავიცვათ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ გვსურს ხაზი გავუსვათ იმ ფაქტს, რომ მერცხალი მხოლოდ და მხო-

ლოდ ფრინველია. ამგვარი საზგასმით გამოვრცხავთ მერცხლის მწერობას, ქვეწარმავლობას და ა. შ. ამ შემთხვევაში ლოგიკური მახვილი ფრინველზე ინაცვლებს. შედგენილი შემასმენელი მთლიანად გადმოდის ქვემდებარის წინ. შემასმენლის ნაწილთა თანამიმდევრობა ასეთია: **სახელადი ნაწილი + ზმნური ნაწილი**. შესაბამისად იცვლება ინტონაციაც. ხმის ამალლება ხდება შედგენილ შემასმენელზე. ტონი დამაველია (და არა აღმავალ-დამავალი).

შედგენილი შემასმენლის სახელად ნაწილს არცთუ იშვიათად ახლავს მსაზღვრელები, რომელთა საშუალებით ხდება ზოგადის შემოსაზღვრა და მისი დაყვანა კერძოზე (რამდენადმე მაინც).

ნ ი მ უ შ ე ბ ი :

ნომინალიზმი აგნოსტიკური თეორია (ვ. ბაქრ.).

ენა ნიშანთა სისტემა (არნ. ჩიქობ.).

ყოველი დედაკაცი ევას ნაყოფი (გ. ქიქ.).

ბერი ხელაშვილი ფრიად ნასწავლი კაცი იყო (მ. ჯავახ.).

თუ ცნების შემოსაზღვრა არსებითი ნიშნებით ხდება, მაშინ შესაძლებელია ორივე წყობა. მაგალითად: 1. „ზედსართავი სახელი არის საგნის თვისების აღმნიშვნელი სიტყვა“ (ან: „ზედსართავი სახელი ეწოდება საგნის თვისების აღმნიშვნელ სიტყვას“). 2. „საგნის თვისების აღმნიშვნელი სიტყვა არის ზედსართავი სახელი“ (ან: „საგნის თვისების აღმნიშვნელ სიტყვას ეწოდება ზედსართავი სახელი“).

თუ სახელადს ნაწილად გამოიყენება აქეთა ორიენტაციის ჩვენებითი ნაცვალსახელები — „ასეთი“, „ამგვარი“, „ამნაირი“... შედგენილი შემასმენლის პოზიცია დამოკიდებულია გამონათქვამის წინა ან მომდევნო კონტექსტზე. თუ მოცემული გამონათქვამი აჯამებს წინამავეალს, მაშინ შედგენილი შემასმენელი პრეპოზიციურია:

ასეთია მათი პრინციპი (ვ. ბაქრ.).

ესენი არიან ის ვაეები (ლიალ.).

ასეთია „მიმართებათა ლოგიკის“ ფილოსოფიური საფუძველი (ვ. ბაქრ.).

თუკი მოცემული გამონათქვამი მოითხოვს განმარტებას, მაშინ შედგენილი შემასმენელი პოსტპოზიციურია:

ამ დასკვნის მთლიანი ფორმა ასეთი იქნება: ... (ვ. ბაქრ.).

ამ შოღესის პრინციპი ასეთია: ... (ვ. ბაქრ.).

ამგვარი წყობა განსაკუთრებით ხშირია, როცა სახელადი ნაწილი რიცხვითი სახელია ან სიმრავლეს აღნიშნავს. ამ შემთხვევაშიც მომდევნო კონტექსტი განმარტებითია:

შესაძლებლობა მრავალგვარია (არნ. ჩიქობ.).

მარტივი მსჯელობა სამი სახისაა (კ. ბაქრ.).

დასკენის სახეები მრავალია (კ. ბაქრ.).

მაგრამ, თუ ქვემდებარეს ახლავს დამატებითობის ნაწილაკე-  
ბი -ც, აგრეთვე..., მაშინ წყობა იცვლება:

მარტივია მეთოდიც (არნ. ჩიქობ.).

მრავალგვარია აგრეთვე ლოგიკური ფორმები (კ. ბაქრ.).

ზმირია ნათესაობითი ბრუნვის შემცველი კომპოზიციებიც (არნ. ჩიქობ.).

გასაგებია დანასკეიც (კ. ბაქრ.).

სამეცნიერო ლიტერატურის ენისათვის დამახასიათებელია ისე-  
თი შედგენილი შემასმენლები, როგორიცაა: ცნობილია, ცხადია, ნა-  
თელია, ძირითადია, ნიშანდობლივია და ა. შ. თუ მათ შემცველ წინა-  
დადებებს არ მოსდევს განმარტებითი კონტექსტი, მაშინ შედგენილი  
შემასმენელი პრეპოზიციურია ქვემდებარის მიმართ:

ცნობილია რამდენიმე ასეთი ხელოვნური ენა (არნ. ჩიქობ.).

ცხადია დანასკვის ჩასიათიც (კ. ბაქრ.).

მაგრამ ნათელია ამ კომპრომისული თვალსაზრისის თანმიმდევრობა (კ. ბაქრ.).

ძირითადია ნათქვამის სიზუსტე (არნ. ჩიქობ.).

თუ სახელადი ნაწილი ან მისი ატრიბუტი გამოხატულია მყო-  
ვადის მიმღეობით ან მსგავსად ნაწარმოები ზედსართავით, შედგე-  
ნილი შემასმენელი, ჩვეულებრივ, პრეპოზიციურია (სახელადი ნაწი-  
ლი + ზმნური ნაწილი):

საკვირველი ფრინველი ვარ მე (ი. გოგებ.).

მაგრამ საოცარია ბრბოს პიპნოზი (აკაკი).

სამინელი უზარმაზარი რამ არის. შეილო, ეგ სპილო (ი. გოგებ.).

საოცარი ამბავია ამათი ჯვარისწერა (ილია).

საბრალოა უსულო, უგულო, უენო ქმნილება (ვაჟა).

### 3. პირდაპირი დამატების ადგილი

პირდაპირი დამატების ადგილი სხვა დამატებებს შორის ყვე-  
ლაზე ფიქსირებულია. მოკლე წინადადებებში მას ბოლოკიდური ან  
ბოლოსწინა პოზიცია უჭირავს. ის ფაქტი, რომ შემასმენლის უზმი-  
რესი პოზიციებიც ბოლო ან ბოლოსწინაა, კიდევ ერთხელ ადასტუ-  
რებს პირდაპირი დამატებისა და შემასმენლის კონტაქტურ კავ-  
შირს<sup>9</sup>:

<sup>9</sup> ბ. ფოჩხუა, დასახ. ნაშრ., გვ. 118.

პასუხიც არ მიუცია (ნ. ლორთქ.).

ღიაშვებმა ყველაფერი გამოჰქოცხა (ილია).

თბილისა შეგუბებულმა პაერმა მოძრაობა დაიწყო (ილია).

მე უნდა მიმეცა ატესტაცია ჩენი ნაწილის ოფიცრებისათვის (დ. კლდ.).

ღათიკომ პასუხი არ მომცა (ილია).

ასეთივე წარმოშობისაა „შეურაცხყო“, „პატივი სცა“, „ხმა ყო“, „გულისხმა ყო“ და მისთ<sup>10</sup>.

პირდაპირი დამატება თითქმის უგამონაკლისოდ პრეპოზიციურია „იცის“ ზმნასთან, როცა იგი ამინდის ან ჩვეულების მნიშვნელობით გაიზრება:

ერთობ ღვინო იცით (დ. კლდ.).

შუღლი არ იცოდინს (დიალ.).

გძელი კაბები ვიცოდით, კუდიანი (დიალ.).

ციმბირში ცივი ზამთარი იცის.

სამეცნიერო ლიტერატურაში მეტად სპეციფიკურია პირველი პირის მრავლობითი რიცხვის ფორმის პრეპოზიცია ბრძანებითში. ამ დროს ძირითადად ხდება საანალიზო საგნის შემოყვანა წინადადებაში:

განვიხილოთ პირველი საკითხი (კ. ბაქრ.).

ივილოთ უბრალო მაგალითი (ი. გოგებ.).

გავაზროთ მსკვლეობის ეს თეორია (კ. ბაქრ.).

შევადაროთ მიღებული სამი ანტილოგიზმი (კ. ბაქრ.).

როგორც ვხედავთ, მოცემულ მაგალითებში წინაა წამოწყებული იმ ობერაცეების ზმნური დასახელებები, რომლებსაც აწარმოებენ სამეცნიერო ლიტერატურაში გარკვეული დებულებების წამოყენებისა თუ გადაჭრის პროცესში.

ამავე სახის მეტყველებაში პრეპოზიციურია ფორმალურად მესამე პირის (მრავლობითის) ფორმა, შინაარსობრივად კი — კონკრეტული პირის გაგების არმქონე ზმნა, რომლის მომდევნო არსებით სახელს დაერთვის რიცხვითი სახელი. ეს უკანასკნელი, ზემოაღნიშნულ პოსტპოზიციურ სახელთა მსგავსად, დამატებითს განმარტებას თუ დაკონკრეტებას მოითხოვს.

ნ ი მ უ შ ე ბ ი :

ჩვეულებრივად განასხვავებენ სამ გვარს... (არნ. ჩიქობ.).

განასხვავებენ დილემის ორ სახეს... (კ. ბაქრ.).

<sup>10</sup> ე. თ. ს. ი. ძე, „ღალად-ყო“ ტიპის ზმნები ქართულში, იქვე, XII, გვ. 270.

განასხვავებენ თანხმობადი ცნებების სამ სახეს... (ვ. ბაქრ.).

პირდაპირი დამატება განსაკუთრებით ხშირია ზმნა-შემასმენლის წინ, როცა ზმნა „დაწყება-გათავებას“ ან „მოყვანა-მოტანას“ აღნიშნავს:

- ვათავებ ამ წერილს (ა. ყაზბ.).
- დაიწყეს ლაპარაკი (ილია).
- დაუწყეს სინჯვა (ვაჟა).
- მოუტანეს რახი, საჭმელი (დიად.).
- მოუყვანია მეორე ცოლი (დიად.).
- გამოიტანეს ვახშამი (ე. ნინოშ.).

აქვე აღსანიშნავია ისიც, რომ ზმნა-შემასმენლის პრეპოზიციის ხვედრი ძირითადად ცოცხალ სასაუბრო ენაზე (მეტყველებაზე) მოდის.

#### 4. ირიბი დამატების ადგილი

ირიბი დამატება შემასმენელთან „მიჯაჭვის“ თვალსაზრისით მეტი თავისუფლებით ხასიათდება.

მოკლე წინადადებებში ირიბი დამატება ცდილობს მოხვედეს წინადადების მარცხენა ან შუა ნაწილში:

- ბჭობასაც მოვუყელით (ვაჟა).
- ძიების შედეგს ველოდით (ლ. ქიან.).
- კაცი კაცს ვეღარა მსდობია (ილია).
- მე მღვდელს შევხედე (ილია).

გრძელ წინადადებებში დამატება მარჯვნივ მიიწევს:

- გვაში დათვისა დიდის ამბით და დიდებით მიწას მიაბარეს (ვაჟა).
- მოხუცი უფრო უფლებდა თემურყოს გაჩუმებული და ხმაგაქმენდილი (ა. ყაზბ.).
- ტუსაღმა რამდენჯერმე ნახად შემოუსვა ხელი ბავშვის ყელს (ნ. ლორთქ.).
- მისი უმკაცრესი სიტყვების შემდეგ არავინ მოელოდა მისგან ღმობიერებას (ლ. ქიან.).

პირდაპირი დამატების თანხლებისას ირიბი დამატება შემასმენლისაგან გათიშულია. ძირითადად იგი პრეპოზიციურია ორივეს მიმართ.

„მიახლოება-მიღწევა“, აგრეთვე „შეუღვა“, „გაუღვა“, „მიაღვა“ ზმნებით გამოხატულ შემასმენლებთან ირიბი დამატება, როგორც წესი, პოსტპოზიციურია.

## ნ ი მ უ შ ე ბ ი :

აი მიუახლოვდი წყლის ნაპირს (ა. ყაზბ.).

მიადწია ერთს უდრანს ტყეს (ვაჟა).

შევვლექმ მტშობას (ნ. ლორთქ.).

მიადგნენ ერთს რუსს (ი. გოგებ.).

გაუდგა გზას (ვაჟა).

აბა შევვლდგეთ საქმეს (ვაჟა).

სხვა შემთხვევებში ირიბი დამატების ადგილი რაიმე განსაკუთრებული თავისებურებებით არ გამოირჩევა.

### 5. უზგალო დაბატმვის ადგილი

უბრალო დამატების პოზიციისათვის გარკვეული მნიშვნელობა აქვს წინადადების სიგრძეს. მოკლე წინადადებებში იგი მიისწრაფვის თავიიდური პოზიციისაკენ, გრძელში კი ბოლოკიდურ პოზიციაში ინაცვლებს. მაგრამ ეს ზოგადად. არსებითი მნიშვნელობა ენიჭება უბრალო დამატების ფორმას და ფუნქციას.

როგორც ცნობილია, ფორმის მხრივ უბრალო დამატება ყველაზე მრავალფეროვანია სხვა წევრებთან შედარებით. შესაბამისად მრავალფეროვანია უბრალო დამატების ადგილიც.

### მოქმედებით ბრუნვაში დასმული სახელი

ა) თუ ზმნა-შემასმენელი სემანტიკურად „შეერთება-დაკავშირებას“ აღნიშნავს, მაშინ თან დადებულიანი დამატება შემასმენელს შეიძლება წინ უძღოდეს ან მოსდევდეს, მაგრამ მოქმედებით-ში დასმული სახელის მიმართ იგი ძირითადად პრეპოზიციურია:

თვითელი ხელი შეერთებულია გვერდის ბუდესთან ორი ძვლითა (ი. გოგებ.).  
ბუნების მოვლენები დაკავშირებულია ერთმანეთთან მიზეზისა და მოქმედების კავშირით (კ. ბაქრ.).

ქვეითი ხუთი წყვილა კი ერთი ერთმანეთთან ბოლოებით არ ერთდებიან (ი. გოგებ.).

ბ) იგივე სურათი მეორდება, თუ ზმნა-შემასმენელი მოძრაობა-გადაადგილების აღმნიშვნელია:

წავიდა ის დევი ამ გმირებთან დრუბლით (დიად.).

ზეგო მოდის მასთან თოკით (ლ. ქიან.).

დაფინოსთან ძღვენიო მიდის თილისმა ქალი აღითი (ლ. ქიან.).

ღია კართან ვრძელ დერეფანში შამუნკამ ჩიიარა წაპლიანი ქიქით (დ. შენგ.).

გ) „გარჩევა-განსხვავება“ სემანტიკის ზმნებთან მოქმედებითში დასმული სახელი პრეპოზიციურია, გან თანდებულიანი სახელი — პოსტპოზიციურია:



ამით ის არ განსხვავდება პოპულარული ინდუქციისაგან (კ. ბაქრ.).

ეს დაბოლოება ანემადა არაფრით გამოირჩევა სხვა ბრუნვათა ჩვეულებრივ დიბოლოებითაგან (არნ. ჩიქობ.).

ამ თვისებებით განსხვავდება აზროვნება, მაგალითად, აღქმებისა და წარმოდგენებისაგან (კ. ბაქრ.).

### ვითარებით ბრუნვაში დასმული სახელი

ვითარებითის ფორმით წარმოდგენილი უბრალო დამატება ზმნა-შემასმენელს უპირატესად უშუალოდ ემეზობლება, სხვა ფორმის მქონე სახელები მეტი თავისუფლებით გამოირჩევიან.

გამარჯვება ჩვენთვის ახლა ჩვეულებრივ მოვლენად იქცა (დ. შენგ.).

ჩვენ მდგომარეობაში მყოფისთვის ამგვარი საქციელი სირცხვილად ვერ ჩაითვლება (ა. ყაზბ.).

მუხის შტო გვიარგინად დაუდგამს შევ კუბრ თმაზე (ნ. ლორთქ.).

ეს წვიმა თუნდაც კოკისპირულ წვიმად დაგვესხას თავზე (დ. შენგ.).

შხამად ამოუვიდეს იმას ეელში ის ორი შაშვი... (ვაფა).

### ზე თანდებულიანი სახელი

თუ ზმნა-შემასმენელი აღნიშნავს რეაქციას ამა თუ იმ მოვლენაზე ან განეკუთვნება „მეტყველება წრეს“, მაშინ ზე თანდებუ-ლიანი სახელი ძირითადად თავკიდურია.

ამ სიტყვებზედ მთელი ჯოჯობეთი აინთო ჩემს გულში (ა. ყაზბ.).

მის ტირილზე თამშულ დანელამ შუბლში ხელი წაიშინა (დ. შენგ.).

ამ კითხვაზე ბაბალემ პასუხის მაგივრად ტირილი დაიწყო (ე. ნინოშ.).

ამაზე წინათაც არა ერთხელ მისაუბრია შენთან (დ. ქიაჩ.).

თქვენზე ავი სიტყვა ჯერ არავისგან არა თქმულა (მ. ჯავახ.).

როცა ზე თანდებული სხეულის ნაწილის აღმნიშვნელ სახელს დაერთვის, მისი ადგილი შედარებით თავისუფალია:

მზიდან წამოსული სხივები ქალს თავზე თმად დახვეოდა (ნ. ლორთქ.).

მე გულზე მწუხარება ლოდდა დამდებია (ნ. ლორთქ.).

იმის გამხმარს ლოყებზედ ორ ნაქადულად ცრემლები ჩამოედინა (ა. ყაზბ.).

მის სახეზე საშინელი გმვი და უაღრესი გაკვირვება ერთმანეთს ბასრი კლინჭებით შეეზნენ (დ. ქიაჩ.).

მოქმედებითში დასმული სახელის მიმართ ზე თანდებულიანი სახელი უპირატესად პოსტპოზიციურია:

გამჭირახი წყობით ჯარს ვერ გავემარჯვებინებ მტერზე (ნ. ლორთქ.).

ღამით ბარჯითაც იჭერენ შუქზე (დიად.).

კამეჩები წნელით გამოვება ურემზე (ილია).

ღარიკო სისხარულით თვებზე არ იდგა (დ. შენგ.).

**ზე მოსდევს ში თანდებულიან სახელსაც:**

მზალოს ტანში ერგოლამ გაურბინა ამ სიტყვებზედ (ა. ყაზბ.).

მეცნიერებაშიც და პრაქტიკულ ცხოვრებაშიც ჩვენ ხშირად დავასკენით... შედეგის არსებობიდან საფუძვლის არსებობაზე (ე. ბაქრ.).

### **ში თანდებულიანი სახელი**

საანალიზო დამატებას სხვადასხვა ადგილი უჭირავს იმის მიხედვით, თუ რა მნიშვნელობის მატარებელია იგი. თუ მისი მნიშვნელობა უახლოვდება ადგილის გარემოებისას, მაშინ ში თანდებულიანი სახელი თავკიდურია. ამ შემთხვევაში იგი უფრო წინადადების მსაზღვრელად გვევლინება, ვიდრე შემასმენლისა:

„შინაარსის ლოგიკაში“ ცნების შინაარსს თელიან ძირითადად (ე. ბაქრ.).

ნაწერში ის ყოველთვის გამოყოფილია სასუენი ნიშნებით (არნ. ჩიკობ.).

ლოგიკურ ლიტერატურაში ამ საკითხზე ყოველნაირი პასუხი იყო გაცემული (ე. ბაქრ.).

სხვა შემთხვევაში, განსაკუთრებით, თუ სახელები სხეულის ნაწილებს აღნიშნავენ, უბრალო დამატების ადგილი შედარებით თავისუფალია:

ხშირი წერისაგან ბეჭებში ოდნავ მოღუნულიყო (დ. შენგ.).

ბრძანების შაგიერ მის ხმაში თხოვნა ისმოდა (მ. ჯავახ.).

ყოველი ნახვის შემდეგ ლევანი უფრო და უფრო ვრცელ იდგილს იჭერდა მელანიას გულში (ე. ნაიშ.).

### **თვის თანდებულიანი სახელი**

თვის თანდებულიანი სახელით გამოხატული უბრალო დამატების პოზიციასაც მისი შინაარსი განსაზღვრავს. კერძოდ, განაპირა ადგილებს იკავებს, თუ იგი ირიბი დამატების ეკვივალენტია III სფეროის ზმნის ფორმებთან:

ჩვენთვის ამაზედ ჭერ არაფერი ვითქვამს (ი. გოგებ.).

შენთვის რაღაც ენა მოუტანიათ ჩვენზე (დ. კლდ.).

ამ სამს ძიებაში რამდენსამე წელიწადს არცერთს არ უმტყუვნია ახლად გაჩენილის ხისათვის (ი. გოგებ.).

სხვა შემთხვევებში, თუ იგი მოქმედების დანიშნულების ობიექტს აღნიშნავს, უბრალო დამატება ცდილობს უფრო ახლოს დადგეს შემასმენელთან.

### **თან თანდებულიანი სახელი**

ამ ფორმით გამოხატული უბრალო დამატების ადგილზე ნაწილობრივ ზემოთაც იყო საუბარი. თუ ასეთი სახელი თანაობას აღ-

ნიშნავს, მაშინ იგი (მცირეოდენ გამონაკლისს გარდა) შემასმენლის მიმართ დისტანციურ პრეპოზიციასი დგება:

შინდის ჭოხთან ერთად პორტუგალიც ილიის ქვეშ მოიქცია (დ. შენგ.).

ახლა ბაკულასთან ერთად მათზედაც გული ჭაერთი ეგსებოდა გალაქტიონსაც და ზენათისაც (დ. კლდ.).

ჩემთან ერთად ხალხიც მოითხოვს შენგან სასწაულს (ლ. ქიჩ.).

### გან თანდებულიანი სახელი

გან თანდებულიანი სახელი უპირატესად წინ უძღვის (დისტანციურად) ზმნა-შემასმენელს. ამ პოზიციასი ზმნის სემანტიკის გათვალისწინება რაიმე კანონზომიერებას არ იძლევა. სამაგიეროდ, თვალსაჩინოა სემანტიკის როლი უბრალო დამატების პოსტპოზიციისას: თუ ზმნა „განსხვავება-გარჩევას“ აღნიშნავს, უბრალო დამატება უშუალოდ უკავშირდება ზმნა-შემასმენელს:

სამივე თაიისი მნიშვნელობით განსხვავდება პოპულარული ინდუქციისაგან (ე. ბაქრ.).

ერთი ქვეყნის კაპიტალიზმი მრავალი ნიშნით განსხვავდება მეორე ქვეყნის კაპიტალიზმისაგან (ე. ბაქრ.).

ამ თავისებურებებით განსხვავდება აზროვნება, მაგალითად, აღქმებისა და წარმოდგენებისაგან (ე. ბაქრ.).

ასეთივე სურათი გვაქვს მაშინაც, როცა მოქმედებითში დასმული გან თანდებულიანი სახელი გამოვლითის ფუნქციით იზმარება:

ორთავეს... ერთგვარი ბრწყინვალე ნაბერწყალი წამოსცენდათ თვალებიდან (ე. ნინოშ.).

არც ბირველსა და არც მეორე მაგალითში დანასკვი არ გამომდინარეობს წინამძღვრებიდან (ე. ბაქრ.).

### „მაგიერად“ თანდებულიანი სახელი

როცა სახელს ცალკე მდგომი თანდებული „მაგიერად“ დაერთვის, იგი წინადადების მსაზღვრელის როლში გამოდის, რის გამოც თითქმის ყოველთვის წინ უძღვის მას. მაგრამ სემანტიკურად ასეთი სახელი იზოლირებული არ არის წინადადების ცალკეული ელემენტებისაგან. კერძოდ, იგი იმ წყვილის ცალია, რომელიც შემასმენლის წინამავალია. ამრიგად, წყვილის ორივე ცალი ლოგიკურად გამოიყოფა სიტყვათგანლაგების საშუალებით.

ჩემს მაგიერ შენ იზრუნებ ჩემი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებისთვისო (ბ. ქიქ.).

ბრძანების მაგიერ მის ხმაში თხოვნა ისმოდა (მ. ჯავახ.).  
თქვენ მაგიერ მთის მმართველად მე დამნიშნეს (ა. ყაზბ.).  
ამის მაგიერად მოსე თავისი თავის შველაზე ფიქრობდა (ე. ნინოშ.).  
მას კარგი, ხმელეთის მაგიერად მაგალითად ზღვა ავიღოთ (ი. გოგებ.).

### „მიხედვით“ თანდებულიანი სახელი

ზოგიერთი ზემოგანხილული უბრალო დამატების მსგავსად, მოცემული სახელიც წარმოადგენს მთელი წინადადების, და არა ოდენ შემასმენლის მსაზღვრელს. ეს გარემოება აპირობებს მის აბსოლუტურ პრებოზიციას:

გაგრძელებულობის მიხედვით ინგლისურის შემდეგ მეორე ადგილი უჭირავს ესპანურ ენას (არნ. ჩიქობ.).

თავისი ყოფიერების მიხედვით ისინი მთლად გათიშულნი არიან ერთმანეთისაგან (კ. ბაქრ.).

თბილქტური მომენტის მიხედვით მათ შორის სხვაობა არ არის (არნ. ჩიქობ.).

იშვიათ შემთხვევაში საანალიზო სახელი შეიძლება თავკიდური ქვემდებარის შემდეგაც შეგვხვდეს. აქ უბრალო დამატების ფუნქცია კიდევ უფრო უახლოვდება ჩართულის ფუნქციას (თუმცა შეიძლება იგი სასგენი ნიშნით არც კი გამოიყოს):

კავკასიური ენები ფონეტიკური პრინციპის მიხედვით სამ ძირითად ჯგუფად დაიყო (არნ. ჩიქობ.).

კანონები ამ თეორიების მიხედვით აღამიანთა გონების თავისუფალი შემოქმედება თავისი საკუთარი მოხმარებისათვის (კ. ბაქრ.).

### „გარდა“ თანდებულიანი სახელი

„გარდა“ თანდებულიანი სახელში ბრუნვიანი ფორმა და თანდებული წარმოადგენენ წყვილის ისეთ ცალეებს, რომლებიც საჭიროებისდა მიხედვით ადგილებს უცვლიან ერთმანეთს. ამასთან, საგანგებოდ უნდა აღინიშნოს მათი ორპიროვანი ფუნქცია: ისინი წინადადების წევრსა და ჩართულს შორის გარდამავალ საფეხურზე დგანან. ერთი მხრივ, წინადადებაში მათ მოეპოვებათ მისამართი სიტყვა, მეორე მხრივ კი — სიტყვის მასალად იხმარებიან. მისამართი სიტყვა თავისი წყვილის მეორე ცალისათვის „უღლის გასაწევად“ ლოგიკურად გამოიყოფა, რისთვისაც მას ორი საშუალება მოეპოვება: შემასმენლის მიმართ უშუალო პრებოზიცია (თუ თანდებული პოსტპოზიციურია სახელის მიმართ) და თანდებულიანი სახელთან უშუალო მეზობლობა. ეს საშუალებები ზოგჯერ ცალ-ცალკე გამოიყენება, ზოგჯერ კი — ერთად.

## ნ ი მ უ შ ე ბ ი :

ამას გარდა, სხვაი ქალი მე ცოლად არ მიწადა (ე. ნინოშ.).

ხორცის გარდა ხაჭოც შეიძლება ჩინკლის გულადა (დიად.).

ქალებს გარდა იქაურმა ჩიტებმაც კი ჩაადგეს საგონებელში ჩემი მსახურთ (აკაკი).

ვაჟიშვილის დაქორწინებას გარდა, ზეგალ... ქალიშვილის გათხოვებამდეც უნდა გზრუნა (ე. ნინოშ.).

მისგან მე არაფერი დამრჩენია გარდა მისი უერთგულესი სიყვარულის მოვონებისა (ლ. ქიაჩ.).

## 6. ადგილის ბარემომების ადგილი

უბრალო დამატების მსგავსად, ადგილის გარემოების ადგილი მეტ-ნაკლები თავისუფლებით ხასიათდება, თუმცა კი შეინიშნება მისი სწრაფვა განაპირა პოზიციებისადმი. მოკლე წინადადებებში იგი მეტწილად თავკიდურია, გრძელში — ბოლოკიდური<sup>11</sup> ან, ყოველ შემთხვევაში, პოსტპოზიტიური შემასმენლის მიმართ.

ა) ადგილის გარემოება თავკიდურია:

იქ ხალხი უფრო მაძლარია (ილია).

ამ ტიპს წუთისთფელში ფაქტობრივი ბევრია (ილია).

სოფელში უნდა წავიდე (ვაჟა).

დარბაზიდან დარიოს ზმა მკაფიოდ მოისმა (დ. შენგ.).

ქიშკრისკენ წავიდა (ო. იოს.).

ოთახში დაბნელდა (ე. ნინოშ.).

შინ დაბრუნდნენ (ლ. ქიაჩ.).

ბ) ადგილის გარემოება ბოლოკიდურია:

არა ქვეყანა არ შევდრება ჩინეთის მცხოვრებლებს რიცხვით მთელს დედა-მიწის ზურგზედ (ი. გოგებ.).

ნიშანდობლივია ისიც, რომ შემასმენელს ადგილის გარემოება ან არაუშუალოდ წინ უძღვის (დისტანციური პრეპოზიცი) ან უშუალოდ მოსდევს (კონტაქტური პოსტპოზიცი).

უბრალო დამატებასთან პოზიტიური მსგავსება გამოწვეული უნდა იყოს ფორმალური მსგავსებით (იგულისხმება სახელით გამოხატული გარემოებები). ხელშესახებია მათ სემანტიკურ მნიშვნელობათა სიახლოვეც.

11 შარ. ლ. კვაჭაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 221. ავტორის დასკვნა ადგილის გარემოების თავკიდურობის სიმრავლეზე, როგორც ჩანს, ემყარება მხოლოდ მოკლე წინადადებათა მონაცემებს.

ცნობილია, რომ ადგილის გარემოება შეიძლება გამოხატული იყოს ადგილის ზმნისართით და თანდებულისანი სახელით. ამ ფაქტის განმეორებითს აღნიშვნას ის მნიშვნელობა აქვს, რომ პირველი შედარებით მჭიდროდ უკავშირდება შემასმენელს და ესწრაფვის მის წინ მოქცეს, მაშინ როცა თანდებულისანი სახელის ადგილი უფრო თავისუფალია:

აქ საჭირო არა ხარ (ნ. ლორთქ.).

შინ აღარ მიმესვლება (მ. ჭავჭავ.).

იქ მიცდიან (დ. კლდ.).

წინ ვერ ავივარება (ილია).

როცა წინადადებაში რამდენიმე სხვადასხვა სახის გარემოებაა, მაშინ მათი თანამიმდევრობა ძირითადად ასეთია: დროის გარემოება + ადგილის გარემოება + ვითარების გარემოება ან: დროის გარემოება + ვითარების გარემოება + ადგილის გარემოება.

## 7. დროის ბარემომბის აღზილი

დროის გარემომბის პოზიცია მეტად მყარია. წინადადებათა უმრავლესობაში იგი თავკიდურია. თუ გავიხსენებთ იმას, რომ შემასმენელი ძირითადად ბოლოკიდურია (მეტადრე მოკლე წინადადებებში), შეიძლება დავასკვნათ, რომ დროის გარემომბა შემასმენლის მიმართ დისტანციურ პრეპოზიციისაა. სხვა წევრებს შორის დროის გარემომბა ყველაზე „ავტონომიურია“. იგი უფრო წინადადების დროითი მსაზღვრელია, ვიდრე ოდენ შემასმენლისა. ამიტომაც ირჩევს იგი იზოლირებულ პოზიციას:

ერთხელ საჩხერეშიც ამგვარად მოვიდა (აკაკი).

მერე ნელ-ნელა დაეშვა ძირს (დ. ქიჩ.).

უნლა კი საჭიროდ ჩააწვინა ქრისტიანებ ბავშვი აკვირში (ე. ნინოშ.).

ოდესლაც ამგვარ ნაღიმზე ეს მანძილი ერთ გოჯსაც არ უდრია (მ. ჭავჭავ.).

აქამდინ სწავლის გივრცელებას უბრალო ხალხში ბატონ-ყმობა უწლილა (ი. გოგებ.).

ერთ დღეს მარინემ უცნაურად დაიჭინა სახლში დედამთილთან წისვლა იქ დასაწოლად (დ. კლდ.).

დროის გარემომბას სხვა გარემომბებთან შედარებით ის თავისებურება ახასიათებს, რომ მას ორგვარი მნიშვნელობა შეიძლება ჰქონდეს: ერთი — დაასახელოს დრო და დაახასიათოს მოქმედება დროის მიხედვით, სხვანაირად რომ ვთქვათ, დაათარილოს მოქმედე-



ბა, მეორე — აჩვენოს ასპექტი, ე. ი. დაახასიათოს მოქმედება მისი გრძლიობის, პერიოდულობის, ინტენსიობის მიხედვით. მრავალწევრა წინადადებებში, თუ დროის გარემოება პირველი მნიშვნელობით იხმარება, იგი იწყებს წინადადებას, რამდენადაც განსაზღვრავს ამ უქანასკნელს. ვინაიდან ამ ტიპის წინადადებებში შემასმენელს ბოლოკიდური ან ბოლოსწინა პოზიცია უჭირავს, ამგვარი დროის გარემოება მის მიმართ უპირატესად დისტანციურ პრეპოზიციაში იქნება. თუკი დროის გარემოება იხმარება მეორე მნიშვნელობით, იგი უახლოვდება ვითარების გარემოებას, რომელიც თითქმის ყოველთვის კონტაქტურ პრეპოზიციაშია შემასმენლის მიმართ.

ორწევრა წინადადებაში ორივე მნიშვნელობით ნახმარი დროის გარემოებანი შემასმენლის მიმართ თანაბარნი არიან — ორივე წინ უძღვის მას. რაც შეეხება მათს განსხვავებას მანძილის თვალსაზრისით, ეს მანძილი აქ არ შეიძლება გვექონდეს, რადგან წევრთა რაოდენობა მინიმალურია (ორი). მაშასადამე, დისტანციური პრეპოზიცია დაიყვანება კონტაქტურ პრეპოზიციაზე, ე. ი. წყობისათვის ამ შემთხვევაში არსებითი მნიშვნელობა აქვს პრეპოზიციის აუცილებლობას, და არა დისტანციურობასა თუ კონტაქტურობას.

თუ წინადადებაში ორა დროის გარემოება და შემასმენელია, ასეთი წინადადება კვლავ ორწევრად უნდა იქნეს მიჩნეული, რადგან ამოსავალი უნდა იყოს წევრთა სხვადასხვაობა და მათი პოზიციები. ამ თვალსაზრისით ორი დროის გარემოების არსებობა არ არღვევს საერთო წესს და ვიღებთ შემდეგ წყობას: **გარემოება + შემასმენელი.**

მაგრამ თვით გარემოებებში უნდა გამოიყოს თითოეული მათგანის პოზიცია. განვიხილოთ ზოგიერთი მაგალითი:

წუხელის გვიან დაბრუნდნენ (მ. ჭავჭავაძე).

მაშ ხვალ დილითვე წადი (ა. ყაზბეგი).

მაგრამ ბოლოს ისეე მოვაგონდი (ილია).

ამ დღეებში სულ წვიმდა (ლ. ქიანაძე).

ყველა ზემოჩამოთვლილ მაგალითში შედარებით ფართო შინაარსის მქონე გარემოება უსწრებს უფრო ვიწრო (ამ კონტექსტში) მნიშვნელობის მქონე გარემოებებს. გარკვეულად მათ შორის ის განსხვავება შეიძლება იყოს, რომ პირველ გარემოებას თითქოს უფრო დაესმის კითხვა „როდის?“, ხოლო მეორეს — „როგორ?“ სწორედ აქ იჩენს თავს ზემოხსენებული ფაქტორი: „დროითი მსაზღვრელის“ დისტანციური პრეპოზიციურობა, ხოლო „ასპექტობრივისა“ — კონტაქტური.

დროის გარემოების შუა და, მით უმეტეს, ბოლოკიდური პოზიციის შემთხვევები ძალზე იშვიათია.

#### 8. ვითარების გარემოების ადგილი

ვითარების გარემოება შემასმენელთან აზრობრივად ყველაზე მჭიდროდ დაკავშირებული წევრია და ისე შეეფარდება შემასმენელს, როგორც მსაზღვრელი საზღვრულს (შდრ. მსაზღვრელ-საზღვრული: კარგი ბავშვი და ვითარების გარემოება + შემასმენელი: კარგად წერს). აღნიშნული მჭიდრო აზრობრივი კავშირი ამ წევრთა განლაგებითაც გამოიხატება: მაგალითების აბსოლუტურ უმრავლესობაში ვითარების გარემოება უშუალოდ უსწრებს შემასმენელს. შეიძლება ითქვას, რომ პოზიციის სიშუაღის მხრივ შემასმენელთან დაკავშირებულ წევრებს შორის არც ერთი შეედრება ვითარების გარემოებას. წინადადების სიგრძესა და შედგენილობას არავითარი მნიშვნელობა არ ენიჭება.

განსაკუთრებით ხშირია ვითარების გარემოების პრეპოზიციის შემთხვევები, თუ იგი ხარისხის, ინტენსივობის, სისრულის და ა. შ. გამოხატველი უფორმო სიტყვებით — ზმნისართებით არიან გამოხატულნი. ეს ზმნისართებია: ძალიან, ძლიერ, მეტად, სულ, ერთიანად, საკმაოდ, კარგა, ძირიანად, სრულიად და სხვ.

#### ნ ი მ უ ე ბ თ :

ძალიან მეჩქარება (დ. ქიაჩ.).

ძლიერ სცდებით (ნ. ლორთქ.).

საკმაოდ ციოდა (ე. ნინოშ.).

კარგა მოსალამოვდა (ე. ნინოშ.).

სრულიად არ გამტყუნებ (ნ. ლორთქ.).

ერთიანად აინთო (დ. კლდ.).

ძირიანად ამოიღებდა, ძირიანად მოსთბრიდა (ილია).

ანალოგიურ სურათს გვიჩვენებენ პოტენციის აღმნიშვნელი ვითარების ზმნისებდები: ძლივს, ადვილად, ძნელად, გაჭირვებით და მისთ., მოქმედების ტემპის აღმნიშვნელი ზმნისებდები: ზანტად, ჩქარა, ზღაპვნით, ნელა... მაგალითებს აღარ დავასახელებთ.

რიგ შემთხვევებში დადასტურდა აუცილებელი წყობა, რომელსაც პარალელური ვარიანტი არ მოეპოვება:

ტყუილად გაიჩქებე, ჩემო კაცო! (დ. კლდ.).

ძალიან კი მიგიშეებენ (ილია).

აბა, ძალიან დავიჭერებ, აი! (ილია).

ძალიან კი გარემოებიან კონსტრუქციას ზმნასთან შეხამებაში არ შეენაცვლება რომელიმე მისი სინონიმი (მეტად, ძლიერ და მისთ.). მსგავსი „ერთადერთი“ კონსტრუქციებია: ერთბაშად + არ + ზმნა (კავშირებით მეორეში), უცბად ან უცებ + არ + ზმნა და ა. შ.<sup>12</sup> ეს კონსტრუქციები სემანტიკურად გამოხატავენ სექსტიკურ რეაქციას თანამოსაუბრის მიერ გამოთქმულ აზრსა თუ კითხვაზე.

ზნა ფორმულას გვაძლევს ასეთი შეხამება: ტყუილად კი არ უთქვამთ (არის ნათქვამი). მაგალითად:

ტყუილა კი არ არის ნათქვამი (ილია, აკაკი).

შემასმენლის შემდეგ გარემოება მეტად იშვიათად გვხვდება. ამ დროს იგი ნაკლებ „სტანდარტულია“. ფორმის მხრივაც იგი ნაკლებ გაცვეთილია პრეპოზიციურ გარემოებასთან შედარებით. „გაქვავებულ“ ზმნიზედები პოსტპოზიცივაში გაცილებით იშვიათია:

გაქვარენ სიყვარულით, მშვიდობიანად (აკაკი).

მოაყვანეს დიდის ამბით და ზენით (დ. ქიჩ.).

ეფლო ესე ჩემთვის მოსვენებით (ი. გოგებ.).

სდჯანან წარბშეუხრელად (ვაჟა).

ეთესავთ წინ მოზნევით (დილა).

ექაქანებთ სულაუთქმელად (დ. შენგ.).

დაეისვენე სულით და გულით (ვაჟა).

## 9. მიზეზის ბარემომების აღვილი

თანამედროვე ქართულში მიზეზის გარემოება თითქმის სრული დამოუკიდებლობით გამოირჩევა. იგი ძირითადად ორ პოზიცივაში დასტურდება: თავკიდურში ან ბოლოკიდურში<sup>13</sup>.

ა) გარემოება თავკიდურია:

იმიტომ ვიცდიდი ამ სამ დღეს (დ. კლდ.).

ამიტომ ზღვიდგან მთელს დღეს ზმელუთისკენ ახალ-ახალი გრილი ჰაერი მოქპრის (ი. გოგებ.).

იმიტომაც კაი საქმე გემართება (დ. კლდ.).

ამისთვის ანოქებდნენ იმ საწყალს კუთხეში კლასების გათავებამდე (აკაკი).

<sup>12</sup> დილოგებში ხანდახან საქმე გვაქვს ელიფსთან, რის შედეგადაც ზმნა და უარყოფითი ნაწილაკი საერთოდ გამოითრევა და ზმნისართით გამოხატული ვითარების გარემოება იზოლირებული სახით წარმოადგება (ერთბაშად! უცებ! ერთი სიტყვით!..).

<sup>13</sup> ამის შესახებ იხ. აგრეთვე მ. ჩინჩალაძე, ქართული ზმნიზედის სწავლება სკოლაში, თბ., 1955, გვ. 147.

## ბ) გარემოება ბოლოკიდურია:

ყველაფერი დაეწეებოდა აქვს ამ ოხერი გაფშვიებული კეზის გამოისობით (დ. კლდ.).

სამი წელიწადი ვიარეთ მარხის ქალაქში ამ საქმის გამო (დ. შენგ.).

წინადადების შუაში მიზეზის გარემოება ყველაზე იშვიათია.

მიზეზის გარემოების თანამედროვე პოზიცია ერთგვარი ანა-რეკლია ამ წვერის პოზიციისა ძველ ქართულში, ოღონდ ძველ ქარ-თულში მისი ადგილისათვის მნიშვნელობა ჰქონდა, როგორც ჩანს, მის ფორმობრივ გარსს: თუ გარემოება ჩვენებითი ნაცვალსახელით იყო გამოხატული, იგი თავკიდურ პოზიციაში დგებოდა. მაგალითად:

ამისთვის ემსგავსა სასუფეველი ცათაჲ კაცსა შეუფესა.

ამისთვის ეწოდა სახელი ქალაქისაჲ მის სეგორ.

თუკი გარემოება აღმნიშვნელი (და არა მითითებითი) მეტყვე-ლების ნაწილებით — აბსტრაქტული სახელებითა და მასდარებით იყო გამოხატული, მისი მოძრაობა უფრო თავისუფალი იყო: გვხვდებოდა როგორც წინადადების მარცხენა, ისე მის მარჯვენა ნაწილშიც.

## 10. მიზნის ბარემოების აღზილი

მიზნის გარემოება ერთადერთი წვერია, რომლის პოზიცია თითქმის ფიქსირებულია შემასმენლის მომდევნოდ, და არა მის წინ. მაგალითად:

გაგაქციე მოსატანად (დ. კლდ.).

საბედნიეროდ ჩემი თანხა საქმით აღმოჩნდა მეეტლის გასასტუმრებლად

(გ. ქიქ.).

ერთხელ არავგზე წავედით სათევზაოდ (ვაჟა).

მაშინვე ვაცი აფრინა მკურნალის მოსაყვანად მხლობელ ქალაქიდან (ილია).

ამ წყაროდამ ბუთლას ოჯახობა ქოხში ეზიდებოდა წყალს სასმელად (ვაჟა).

ამით ავტორმა მკითხველს გარკვეული განწყობა შეუქმნა შემდგომი ამბების ასათვისებლად (არნ. ჩიქობ.).

ამ მაგალითებიდანაც ჩანს, რომ მიზნის გარემოების ადგილი გარკვეული სტაბილობით გამოირჩევა. ნებისმიერ სიგრძის წინა-დადებებში საანალიზო გარემოება ყველაზე ხშირად ბოლოკიდურია, ყოველ შემთხვევაში, შემასმენლის მიმართ იგი თითქმის ყოველ-თვის პოსტპოზიციურია. ამიტომ თვით ორწევრა წინადადებებშიც კი, სადაც შემასმენლის პოსტპოზიცია სხვა წვერების მიმართ დი-დად სჭარბობს მისსავე პრეპოზიციას, მიზნის გარემოების პრეპოზი-

ცია ნაკლებია სხვა წევრებისაზე (57%) და თითქმის უტოლდება უკუწყობას.

მიზნის გარემოების პოზიციის სტაბილობის ასახსნელად შეიძლებოდა მოგვეშველიებინა ძველი ქართულის მონაცემები. ძველ ქართულში ზმნის მიერ ვითარებით ბრუნვაში მართული სახელზმნა, რომელიც მიზნის გარემოებადაა გამოყენებული, პოსტპოზიციურია შემასმენლის მიმართ<sup>14</sup>. ასეთი შეხამება ტიპიური იყო ინფინიტიური კონსტრუქციისათვის. მაგალითად:

წარვიდა იგი კითხვად. დასძდეს იგინი ჭამად პურისა. იყოს იგი საქსენებელად ძეთა ისრაჴლისათა. მოართუა მას წყალი ფერჭთა სახანელად<sup>15</sup>.

მაშასადამე, საქმე გვაქვს გარკვეულ ტრადიციისთან, რომელიც ნორმალიზაციის პროცესში თანდათან ჩამოყალიბდა.

#### 11. მ. წ. „პრედიკატული განსაზღვრების“ ადგილი

ქართულში გვაქვს ზედსართავი სახელით ან მიმღვობით გამოხატული მსაზღვრელი, რომელიც ფორმალურად საზღვრულს შეეთანხმება, აზრობრივ კავშირს კი შემასმენელთან ქმნის (იგულისხმება „ბიჭი ვახარებული მოვიდა“ — ტიპის წინადადებები). ამრიგად, მას შუალედური ადგილი უჭირავს განსაზღვრებასა და ვითარების გარემოებას შორის.

ამ სახის მსაზღვრელს ხან „პრედიკატულ განსაზღვრებას“ უწოდებენ (ლ. კვაჭაძე), ხან — ვითარების გარემოებას (ი. იმნაიშვილი), ხანაც — შედგენილი შემასმენლის სახელად ნაწილად მიიჩნევენ (ა. ლლონტი). ყველა კვალიფიკაციას თავისი საფუძველი აქვს, მაგრამ მოსაზღვრე ერთეულთაგან გამორჩევისათვის ყველაზე მოსახერხებლად ვცანით ტერმინ „პრედიკატული განსაზღვრების“ ხმარება.

წინადადებაში პრედიკატული განსაზღვრების ადგილი თითქმის ნებისმიერია: გვხვდება წინადადების ყველა ნაწილში, ზმნა-შემასმენლის წინ და მომდევნოდ:

<sup>14</sup> აღნიშნული ტიპი — ზმნა + მოქმედებით ან ვითარებით ბრუნვაში დახმული სახელი — გამოყოფილი აქვს ანტონ ბირველს (იხ. მისი „ქართული ღრამ-მატიკა“, ტფ., 1885, გვ. 241).

<sup>15</sup> მაგალითები დამოწმებულია ა. კიზირიას წიგნიდან „მარტივი წინადადების შედგენილობა ძველ ქართულში“, თბ., 1963, გვ. 222.

პლატონი წარბეზმეკრული აქეთ-იქით დადიოდა (დ. კლდ.).

ისინი დამწყობებულნი ერთმანეთს მოსდევდნენ (ა. ყაზბ.).

ამ ფიქრებში გართული მიზარბაცებდა ჩვენი პეტრე აელაბრის ბაკებისაკენ (ილია).

ნადიდან გულდაწყვეტილი დაბრუნდა საბა (ნ. ლორთქ.).

ზალიკა გვერდში ამოუდგა სულგანაბული (დ. ქიაჩ.).

ლევანი აივანზე დადიოდა გაშმაგებული (ნ. ლორთქ.).

მაჩყები დაჩოქილები იღვნენ დათვის წინაშე (ვაჟა).

თანაშემწე გაკვირვებულნი უყურებდა ტრაქტორისტს (ო. იოს.).

ამათგან ყველაზე ხშირად გვხვდება პრედიკატული განსაზღვრების კონტაქტური პრეპოზიციის ზმნა-შემასმენლის მიმართ. საკმაოდ ხშირია კონტაქტური პოსტპოზიციის შემთხვევებიც. გვაქვს ერთი გამონაკლისი: თანამედროვე ქართულში იგი უშუალოდ არ უძღვის სახელს, რითაც პრედიკატული განსაზღვრება განემსგავსება ჩვეულებრივ მსაზღვრელს. ამ შემთხვევაში საზღვრული პირის ნაცვალსახელითაა გამოხატული:

გონწასული ისიც ლაფში გაიშხლართა (ვაჟა).

სოფლად მოსიარულე იგი არაეის უნახავს (დ. კლდ.).

ასე რომ ფეხზე მდგარი ის სწავლის დროს ძვირად დაგვიუნახავს (ავაკი).

თუ ნაცვალსახელის მაგივრად საზღვრულად არსებითი სახელი გამოდის, პრეპოზიციური პრედიკატული განსაზღვრება მას ისევე სრულად ეთანხმება, როგორც ინვერსიული ან გათიშული მსაზღვრელები<sup>16</sup>. ბუნებრივია, რომ პრედიკატულ განსაზღვრებას კონტაქტურ პრეპოზიციისაშიც კი არა აქვს მიდრეკილება ცვეთისადმი (შდრ. ჩვეულებრივი ატრიბუტული მსაზღვრელი). მაგალითად:

რალაც კმაყოფილებით გატაცებულთ, ამ ღორებს ერთმანეთისათვის ბევრჯერ წაუთაეხებიათ დინგი (ილია).

თითონ გულადნი და ვაჟაკნი ჩეჩნები სტუმრების გულადობასა და ვაჟაკობას აფასებდნენ (ა. ყაზბ.).

უფრო მეტიც, როგორც მაგალითებიდან ჩანს, პრედიკატული განსაზღვრება კიდევ უფრო დამოუკიდებელია, ვიდრე ინვერსიული ან გათიშული მსაზღვრელები: საზღვრული სახელი -ებ-იან მრავ-

<sup>16</sup> ზოგ ავტორს მიაზნია, რომ „პრედიკატული განსაზღვრება“ სიტყვათგანლაგების ცვალების შედეგადია მიღებული. იგი ეჭვმდებარეობს არსებითი სახელით გამოხატულ წევრს, მაგრამ სემანტიკურ კავშირს ამყარებს ზმნა-შემასმენელთან, პოზიციურად მასთან დგას ახლოს და სწორედ ეს უწყობს ხელს მათ შორის კავშირის დამყარებას (ა. ლავითიანი, სიტყვათშეხამების პოზიციური თავისებურებანი ქართულში, „უცხო ენები სკოლაში“, 1968, № 3, გვ. 12).



ლობითში დგას, პრედიკატული განსაზღვრება კი — ნართანიანში. ამასთან, ეს უკანასკნელი საზღვრული სახელის გარეშეც შეიძლება შეგვეხედეს წინადადებაში. ასე რომ, ამ შემთხვევაში მისი ბრუნვა მართულია ზმნის მიერ. სამაგიეროდ, პოზიცია აბსოლუტურად თავისუფალია:

აილმორეული ლოგინგაუმლელ ტახტამდე ძლივს მილასლასა (დ. შენგ.).

წელან ველის ჰირად გავედი დაღონებული (ნ. ლორთქ.).

გამოღვიძების შემდეგ დიდხანს თვალ-გამტერებული იწვა (ე. ნინოშ.).

ამიტომ ხშირად გვღო მწიერი (ე. ნინოშ.).

ერთხელ გატიცებული და ვაცხარებული არწიესაც კი გადაახტა თავზე (ვაჟა).

უნდა აღინიშნოს, რომ საზღვრული სახელის გარეშე წარმოდგენილი პრედიკატული განსაზღვრების პოზიციებს შორის ყველაზე ხშირია თავიკიდური პოზიცია, რომელშიც იგი წინადადების მსაზღვრელ წევრს უახლოვდება. ამიტომ პრედიკატული განსაზღვრება ინტონაციურად სათანადო პაუზით გამოიყოფა, რაც წერაში ზოგჯერ მძიმითაც კი აღინიშნება. მაგალითად:

სულით მკვდარი, დიდხანს ვებრძოდი ხორციელს სიკვდილს (ნ. ლორთქ.).

ბოლში გახეულს, ფრული და ნაცარი მზრებსა და ბერტყე აცვივოდა (დ. შენგ.).

ყურაფააციცებული, მოუთმენლად მოელის ირმის ყვირილს (ვაჟა).

ამგვარი პრედიკატული განსაზღვრება ძნელი გასამიჯნავი ხდება განკერძოებული განსაზღვრებისაგან, მით უმეტეს მაშინ, როცა იგი გრძელია და ბოლოკიდური პოზიცია უჭირავს<sup>17</sup>.



ზემოთ დასახელებული იყო თითოეული წევრის პოზიცია წინადადებაში ცალკე და შემასმენელთან მიმართებით. მაგრამ, ამასთან, იძებნება ზოგადი კანონზომიერებანი, რომლებიც საერთოა ყველა წევრისათვის სიტყვათგანლაგების თვალსაზრისით.

ქვემოთ ჩამოთვლილია ის ფაქტორები, რომლებიც ხელს უწყო-

<sup>17</sup> ა. პეშკოვსკის თქმით, რაც უფრო დიდია ჯგუფი, მით უფრო რთულია იგი სინტაქსურად და მით უფრო ძნელია მისი დაქვემდებარება, როგორც მთელი-სა სხვა ჯგუფებისადმი. ამიტომ ეს რთული ჯგუფი პაუზით გამოეყოფა წინადადების დანარჩენ ნაწილებს. სიტყვათა რაოდენობის ზრდასთან ერთად იზრდება განკერძოების შესაძლებლობა (А. А. Пешковский, Русский синтаксис в научном освещении, М., 1935, с. 375).

ბენ ამა თუ იმ წყობას სპეციფიკური ფაქტორების უქონლობისას. ცხადია, ისინი არ შეიძლება ჩაითვალოს აბსოლუტურად, მაგრამ მათი ტენდენციურობა აშკარაა.

### 1. პირდაპირი წყობის (შემასმენლის პოსტპოზიციის) ხელშემწყობი ფაქტორები

შემასმენელთან შეხამებული წევრი

ა) ერთმარცვლიანია:

მე მოვიგე (მ. ქიქ.).

მტერს ავიწროებენ (დ. შენგ.).

ბედს დავმორჩილდი (ლ. ქიაჩ.).

შინ აღარ მიმესვლება (მ. ჭავჭავ.).

წინ ვერ აეფარები (ილია).

აქ საჭირო არა ხარ (ნ. ლორთქ.).

იქ მიცდიან (დ. კლდ.).

ბ) ნაწილაკიანია:

სანატრელი კვირაც გათენდა (დ. კლდ.).

ფიჭობის მინც მიეშველე (მ. ჭავჭავ.).

შენშიც მოვსტყუელი (ილია).

იქაც საჭირო საქმეა (ა. ყაზბ.).

ნეტავი სულაც არ წამომეყვანე (დ. კლდ.).

გ) კითხვითი სიტყვა-წევრის დადებითი პარადიგმაა:

— აბდიამ გამომგზავნა (ა. ყაზბ.).

— სუკი ვიშოვე, წენი ჭირიმე (ილია).

— ხელობა უნდა ვისწავლო (დ. შენგ.).

— ძიების შედეგს ველოდით (ლ. ქიაჩ.).

— წყაროში ჩაედგი (მ. ჭავჭავ.).

დ) თუ ერთი სიტყვა ორჯერ მეორდება, პირველი უშუალოდ უძღვის შემასმენელს, მეორე — მოსდევს:

ბრაზი მარჩობს, ბრაზი (ვაჟა).

არაინა გკლავს, არა (ვაჟა).

(აქ უარყოფითნაწილაკიანი ელემენტი მეორდება მხოლოდ).

ე) გამოხატულია (ან ახლავს) ჩვენებითი ნაცვალსახელით ან ზმნისართით:

აი ამ ბებერს ვემუქრები (ი. გოგებ).  
ამაზე არ შეგწერდებით (არნ. ჩიქობ.).  
იქიდან მოდიან (დ. ქიაჩ.).  
იქვე წალაპარაკებულან (ნ. ლორთქ.).  
ამითი ის ძალღს ძლიერ სჯობია (ი. გოგებ).  
მაგრე არ არწმუნებენ (აკაკი).

ვ) გამოხატულია -დაც (ა) ნაწილაკდართუ-  
ლი განუსაზღვრელობითი ნაცვალსახელით ან  
ზმნისართით:

არჩილს ამ სიტყვებისათვის სადღაც და როგორღაც ყური მოეკრა (ილია).  
გული... რაღაცას ლამოდა, საიღაც იწვედა (ილია).  
ვიღაცამ წაიბორჩია მეწისქვილის ვებზედ (ილია).

ზ) მოცემული წევრი ან მისი ატრიბუტი გა-  
მოხატულია განსაზღვრებითი ნაცვალსახე-  
ლით:

ყველაფერი მოგვწერეთ (დ. შენგ.).  
კარგი, ყველას გეტყვი (ა. ყაზბ.).  
სუყველანი დახოცეს (დიად.).  
—სულ ყველაფერი დავინახე (ვაჟა).

თ) წინადადება შერწყმულია შემასმენლის  
მიხედვით:

დარო ეტყოდა ან მისწერდა (მ. ჭავახ.).  
ამ კაცის შეხედვა მწვაეს და მხიბლავს (გ. ქიქ.).  
ჩუბინაშვილის ლექსიგონი ვაღიეშალა და სინჯავდა (აკაკი).  
რკინიგზის სახლს უყურებდა და მირბოდა (ო. იოს.).

აქვე უნდა აღინიშნოს ერთი აბსოლუტური წესი: თუ შემასმე-  
ნელთან შეხამებული წევრი უარყოფითი ნაცვალსახელით ან ზმნი-  
სართითაა გამოხატული და უარყოფა ერთმაგაა, ეს წევრი აუცილებ-  
ლად პრეპოზიციურია:

ვერავენ გაიგო (ნ. ლორთქ.).  
იღარაფრის რცხენიათ (დ. კლდ.).  
შენს ხელს იქით არსიდ წავა (ა. ყაზბ.).  
არავენ დაიჭირა (დიად.).  
არაფერი წამიგია (ნ. ლორთქ.).

თუკი უარყოფა ორმაგაა, მაშინ უარყოფითი ნაწილაკი აუცი-  
ლებლად ზმნა-შემასმენლის წინ დგას, უარყოფითი წევრი კი შემას-

ე) შემასმენელთან შეხამებული წევრის ატრიბუტი გამოსატყულია რიცხვითი სახელით, რომლის განმარტებას მომდევნო კონტექსტი იძლევა:

წვეულებრივად განასხვავებენ სამ გეარს: (არნ. ჩიქობ.).

განასხვავებენ დილემის ორ სახეს: (კ. ბაქრ.).

რკინიგზაზე ორი ლიანდაგია — შირჭვნივ და შარცხნივ (ო. იოს.).

ვ) შემასმენელთან შეხამებული წევრი ატრიბუტითაა გართულებული:

მოიგონეს რაღაც ათასგვარი სოფლური გართობა-თამაში (ე. ნინოშ.).

ვერ იშოვა ერთი ხეირიანი ნაგავის ლექვი (ო. იოს.).

მოართვეს ღვინით სავსე თორმეტი ჭიქა (ე. ნინოშ.).

ზ) შემასმენელთან შეხამებულია ერთგვაროვანი წევრები:

იჭერდა თავებს, კაღებს და ბრუვ ჩიტებსაც კი (ვაჟა).

ეცინოდნენ უენობას, გაუგებრობას, მიხრა-მოხრას (ნ. ლორთქ.).

ვეზიდები შეშას, თივას და ბორავს (ა. ყაზბ.).

თ) ზმნა-შემასმენელს აკისრია თხრობაში პერსონაჟის ან საგნის შემოყვანის ფუნქცია:

უნდა შეიქმნას ლოგიკური ფორმების თეორია (კ. ბაქრ.).

იბადება კანონიერი კითხვა (კ. ბაქრ.).

არის ორნაირი სიღუჭქირე (გ. ქიქ.).

არსებობს მსკელობის მრავალი სახე (კ. ბაქრ.).

#### პროზაპროზან წმინტა რიგი

წინადადებაში არცთუ იშვიათად გვხვდება ერთგვაროვანი წევრები, განსაკუთრებით, ერთგვაროვანი გარემოებები. მათ შორის ყველა არა დგას იმავე რიგში, შერწყმულ წინადადებაში ჩამოთვლის დროს რომ ეხმარობთ. ქვემოთ განვიხილავთ ამგვარ წევრთა თანამიმდევრობას წინადადებაში.

1. თუ ერთგვაროვან ადგილის გარემოებათაგან ერთ-ერთი გამოსვლითის ფუნქციით იხმარება, მეორე კი — მიწვევითისა, მაშინ გარემოებათა თანამიმდევრობა შეესაბამება ლოგიკურ (რეალურ) თანამიმდევრობას:

ამის გამო ზაფხულობით ზღვიდან ხშირადა პქრის ხმელეთისკენა (ი. გოგებ.).

ე) შემასმენელთან შეხამებულ იწვევრის ატრიბუტი გამოხატულია რიცხვითი სახელით, რომლის განმარტებას მომდევნო კონტექსტი იძლევა:

ჩვეულებრივად განისხვავებენ სამ გვარს: (არნ. ჩიქობ.).

განისხვავებენ დილემის ორ სახეს: (კ. ბაქრ.).

რკინიგზაზე ორი ლიანდაგია — მარჯვნივ და მარცხნივ (ო. იოს.).

ვ) შემასმენელთან შეხამებულ იწვევრი ატრიბუტითაა გართულებული:

მოიგონეს რაღაც ათასგვარი სოფლური გართობა-თამაში (ე. ნინოშ.).

ვერ იშოვა ერთი ხეირიანი ნაგაზის ლეკვი (ო. იოს.).

შოართვეს ღვინით სავსე თორმეტი ჭიქა (ე. ნინოშ.).

ზ) შემასმენელთან შეხამებულ ია ერთგვაროვანი წვევრები:

იჭერდა თავებს, კალებს და ბრიყვ ჩიტებსაც კი (ვაჟა).

ეცინოდნენ უენობას, გაუგებრობის, ნიხრა-მოხრას (ნ. ლორთქ.).

ეუზიდები შეშას, თევას და ხორავს (ა. ყაზბ.).

თ) ზმნა-შემასმენელს აკისრია თხრობაშობერსონაჟის ან საგნის შემოყვანის ფუნქცია:

უნდა შეიქმნას ლოგიკური ფორმების თეორია (კ. ბაქრ.).

იბადება კანონიერი კითხვა (კ. ბაქრ.).

არის ორნაირი სილუხჭირე (გ. ქიქ.).

არსებობს მსჯელობის მრაველი სახე (კ. ბაქრ.).

#### მრთხვაროვან წვევრთა რიგი

წინადადებაში არცთუ იშვიათად გვხვდება ერთგვაროვანი წვევრები, განსაკუთრებით, ერთგვაროვანი გარემოებები. მათ შორის ყველა არა დგას იმავე რიგში, შერწყმულ წინადადებაში ჩამოთვლის დროს რომ ეხმარობთ. ქვემოთ განვიხილავთ ამგვარ წვევრთა თანამიმდევრობას წინადადებაში.

1. თუ ერთგვაროვან ადგილის გარემოებათაგან ერთ-ერთი გამოსვლითის ფუნქციით იხმარება, მეორე კი — მიწვევითისა, მაშინ გარემოებათა თანამიმდევრობა შეესაბამება ლოგიკურ (რეალურ) თანამიმდევრობას:

ამის გამო ზაფხულობით ზღვიდგან ხშირად ჰქრის ხმელეთისკენა (ი. გოგებ.).

ამ წყაროდამ ბუთლას ოჯახობა ქობში ეზიდებოდა წყალს სასმელად (ვაჟა).  
საკენკიანიდან კაცი აქ უსაქმოდ არ წამოვა (ვაჟა).  
აბაშის პირიდან ქალბატონთან ერთად სალომიკაც მოხვდა იმერეთში

#### (5. ლორთქ.).

უკუწყობის შემთხვევათა სიმცირე აღნიშნულ ნორმას განამტკიცებს.

2. თუ ორ ადგილის გარემოებათაგან ერთი უფრო ზოგადი შინაარსისაა, მეორე კი პირველის დაკონკრეტებას წარმოადგენს, მოძრაობა მიმართულია ზოგადიდან კერძოსკენ:

ერთხელ დილით კატოს ადრე გამოვდვიძა (ი. გოგებ.).

ერთხელ ცაბაურთობას ფეხიც კი მოიტეხა (ვაჟა).

მესამე დღეს დილითვე გამოვცხადდი სტუდენტის ბინაზე (ლ. ქიჩ.).

აღნიშნული თანამიმდევრობა კიდევ უფრო მყარია, როცა ერთ-ერთი გარემოება ჩვენებითი ზმნისართითაა გამოხატული, მეორე კი — სახელით ან სახელზმნით (ამ შემთხვევაში პირველი ერთგვარად საზღვრავს მეორეს). ზოგჯერ ისინი ისე მჭიდროდ უკავშირდებიან ერთმანეთს, რომ მათი გათიშვა არ ხერხდება. მაგალითად: ისე ტკბილად ეძინა, რომ ვეღარ გავადვიძე, და არა: ისე ეძინა ტკბილად, რომ...

#### ნ ი მ უ შ ე ბ ი :

ასე მიდიოდა დღე შეუმჩნევლად (5. ლორთქ.).

გოგოც იქვე დასვენს კუთხეში (დ. კლდ.).

იქვე შეჩვივნიებულ ეტლში ვალაცა სამხედროები სხდებოდნენ (ლ. ქიჩ.).

ეკვირნიმაც იქვე მოაკეცა ბოძთან იატაკზე (დ. კლდ.).

თუ ჩვენებითი ზმნისართი უშუალოდ უკავშირდება ზმნა-შემასმენელს, მაშინ მეორე ზმნისართი გადაინაცვლებს შემასმენლის შემდეგ და არასდროს ჩვენებითი ზმნისართის წინ:

ბავშვს ისევ ისე ეძინა მშვიდად, წუნარად (5. ლორთქ.).

ასე გაგატარებ ჯაბადლებულად ჩემს წუთისოფელს (დ. კლდ.).

3. მოცემულ ორ გარემოებათაგან ერთი შეიძლება განსაზღვრავდეს მთელ წინადადებას, მეორე კი — მხოლოდ შემასმენელს. ასეთ შემთხვევაში წინადადების მსაზღვრელი გარემოება თავკიდური პოზიციისაკენ მიისწრაფვის, შემასმენლის მსაზღვრელი კი — ზმნა-შემასმენლის მეზობლად თავსდება:

აღმოსავლეთის მხარეს ვანთაღის წინამორბედი ნისლისფერი დრუბლები ცაზე (ლ. ქიჩ.).



აქაც ზემო-ქართლის ჯარი გადაეღობა გზაზე (ი. გოგებ.).

თვითონ შუაგულ სოფელში რამდენიმე ევებერთელა წყარო ამოჩუხჩუხებდა მიწიდან (ი. გოგებ.).

იმ დამეს სარასკირმა და ახმელ თაშამ გვიანობამდე ითათბირეს (მ. ჭავჭავ.).

წარსულს დამეს მე და მამისემი გათენებამდისონ ვისხედით (ა. უახზ.).

ერთ საღამოს ლევანმა დიდხანს უმზირა საფიოს (ე. ნინოშ.).

ერთადერთ გამონაკლისს, რომლის დროსაც თავკიდური გარემოება არ არის მთელი წინადადების მსაზღვრელი, ქმნის გარემოების მომდევნო შემასმენელი. ამ შემთხვევაში თავკიდური გარემოება ოდენ შემასმენლის მსაზღვრელია.

4. თუ დროის გარემოებათაგან ერთ-ერთი „პროცესობრივი“ მახასიათებელია მოქმედებისა, იგი უშუალოდ ზმნა-შემასმენლის წინ ინაცვლებს. ასეთი გარემოებები აღნიშნავენ მოქმედების ინტენსივობას, პერიოდულობას, ხანგრძლივობას და ა. შ. მაგალითად:

პატარაობისას ხშირად მინახავს პაპა (ვაჟა).

სინამდვილის შეგეცნების პროცესში ჩვენ იშვიათად გვაქვს საქმე ამგვარ შემთხვევასთან (კ. ბაქრ.).

ბოლოს ხანდახან ამ პირქუმ უდაბნოში განძირტობული ფიგურა გამოჩნდებოდა (გ. ქიქ.).

მერე ერთხანს დადუმდა თავადის ქალი (დ. ქიჩ.).

ამის შემდეგ მოსეს კიდევ კარგა ხანს არ დაეძინა (ე. ნინოშ.).

ნასადილევს ორივემ ცოტა ხანს მოისვენეს (დ. კლდ.).

პირიქით, სხვა დროს კოტე რამდენიმე დღეობით რჩებოდა გაბრიელისას (ე. ნინოშ.).

5. წინადადებაში ერთდროულად შეიძლება გვქონდეს, ერთ მხრივ, პერიოდულობისა და, მეორე მხრივ, ხანგრძლივობის აღმნიშვნელი გარემოებები. ამ შემთხვევაში ჯერ პერიოდულობის აღმნიშვნელი გარემოება იხმარება:

ხანდახან გრაფის მეთულის მდიდრული სადილი ორ დღეს მიძღვებინებდა (გ. ქიქ.).

არსენა დროგამოშვებით რამდენიმე დღით იკარგებოდა (მ. ჭავჭავ.).

ზემოთქმულიდან ჩანს საერთო ტენდენცია: შემასმენელს უშუალოდ წინ უძღვის ის გარემოება, რომელიც სემანტიკურად უფრო მჭიდროდ უკავშირდება ზმნა-შემასმენელს. თუ გარემოება მთელი წინადადების მსაზღვრელია, მანძილი გარემოებასა და შემასმენელს შორის შესაბამისად იზრდება<sup>18</sup>.

<sup>18</sup> ერთგვარ გარემოებათაგან ზმნა-შემასმენლის მომდევნო გარემოება, მეტადრე, თუ ის გრძელია, წარმოადგენს გარდამავალ საფეხურს ჩვეულებრივი გა-

ქვემდებარე-შემასმენლის პოზიციითა განხილვამ გვიჩვენა, რომ:  
1. ქვემდებარის პრეპოზიციის შემთხვევები ძირითადად გარდა-  
მავალ ზმნათა შემცველ ფრაზებში გვხვდება;

2. თანამედროვე ქართულში პრეპოზიციური ქვემდებარე უფ-  
რო დიდი მანძილითაა დაშორებული შემასმენელს, ვიდრე პოსტ-  
პოზიციური, ე. ი. პირველი უფრო დისტანციურია, მეორე — უფრო  
კონტაქტური.

თუ ამ ორ კანონზომიერებას შევაერთებთ, მივიღებთ შემდეგ  
დასკვნას: სუბიექტი უფრო მჭიდროდ უკავშირდება გარდაუვალ  
ზმნას, ვიდრე გარდამავალს.

დამატებათაგან, მიღებული აზრის მიხედვით, ზმნა-შემასმენელ-  
თან ყველაზე მჭიდროდ დაკავშირებულია პირდაპირი, და არა ირიბი  
დამატება. მაშასადამე, ამ შემთხვევაში საცნაურია გარდამავალი  
ზმნისა და პირდაპირი დამატების მჭიდრო პოზიციური კავშირი.

აღნიშნული ტენდენცია შეუძლებელია შემთხვევითი იყოს. ისე-  
ვე როგორც სხვა შემთხვევებში, აქაც ტრადიციის ჩამოყალიბების  
საფუძველი ძველ ქართულშია დასაძებნი. კერძოდ, ზემოგანხილულ  
ვითარებას კარგად ეგუება ძველი ქართულის ზოგიერთი ფაქტი.  
უწინარეს ყოვლისა, აღსანიშნავია სახელობითისა და მიცემითი  
ბრუნვის ფორმათა სინტაქსური ძალის თანაფარდობა. როგორც  
ცნობილია, სახელობითის ფორმა — სუბიექტია იგი თუ ობიექტი,  
ზმნას რიცხვში ითანხმებდა (კაც-ნი წავიდ-ეს; მოკლ-ნ-ა ირემ-ნ-ი),  
მაშინ როცა მიცემითის ფორმას ამგვარი ძალა არ გააჩნდა.

ძველ ქართულ ტექსტებში პირდაპირი დამატების ხმარების არე  
ძირითადად სახელობითი ბრუნვის ფორმით არის შემოსაზღვრული.  
ამავე ფორმითაა გაღმობებული რეგულარული გარდაუვალი ზმნის  
ქვემდებარეც.

რაც შეეხება სიტყვათგანლაგებას, აქაც გარკვეულ, თუმცა არა  
აბსოლუტურ კანონზომიერებასთან გვაქვს საქმე. სახელობითი ბრუნ-  
ვის ფორმით წარმოდგენილი ქვემდებარეც და პირდაპირი დამატე-  
ბაც თითქმის თანაბრად პოსტპოზიციურია შემასმენლის მიმართ.

ა) ქვემდებარის პოსტპოზიციის ნიმუშები:

... კარად სამეფოდ წარემართა ვარსქენ პიტიახში, ძჳ არშუშაასი (შუშ.).

რემოებიდან განკერძოებულსკენ. მხატვრულ ლიტერატურაში ასეთი გარემოება  
ზოგჯერ მძიმითაც კი გამოიყოფა. მაგალითად: „ამგვარად მიდიოდნენ ისინი, ზუ-  
მად, ხმაგაკმენდილები“ (ა. ყაზბ.).

და შემდგომად რაედენტამე დღეთა მოიკლა მეფე იგი ღუაწლსა შინა (ევსტ.)-  
ესევეთარსა ქამსა შინა გამოჩნდა ახოვნად წმინდა ესე მოწამე (აბო).

ბ) პირდაპირი დამატების პოსტპოზიციის ნიმუშები:

ხოლო წმიდამან მან ცნა ზაკუვით იგი ზრახვიდ მისი და მოიხლუდა თავი მისი  
მტკიცედ (შუშ.).

მაშინ უღებ-ყო შექული იგი მამხედისი და... შეიყუარა ქრისტე ყოვლითა  
გულითა (აბო).

ილიპურნა კელნი წმიდამან ევსტიი და თქუა (ევსტ.).

აწ მოაღვინნეს მსახურნი და თრევით წარგიყვანოს შენ (შუშ.).

სურათი საგრძნობლად იცვლება, როცა განხილვის საგნად გარ-  
დამავალი ზმნის ქვემდებარეს ვაქცევთ. ამ უკანასკნელის პრეპოზი-  
ცია გარდამავალ ზმნებთან სკარბობს მის პოსტპოზიციას. მაგალი-  
თად:

ხოლო საწყალობელი ესე ცოლსა ითხოვდა სპარსთა მეფისაგან (შუშ.).

უფალი მეცნიერ-მყოფდა მას (აბო).

სიხარულით ყოველნივე აკურთხევდეს ღმერთსა ცოცხლებით და მშუდობით  
შეკრებისა მათისათვის (აბო).

და ჩუენ-და ამას განვიზრახვედით, მოვიდა ყრმაი ერთი და თქუა (შუშ.).

მაშასადამე, ამ მხრივ განსხვავება ძველსა და თანამედროვე  
ქართულს შორის მინიმალურია. ძირითადი სხვაობა ჩანს ქვემდებარე-  
რე-დამატების საკითხში.

როგორც ჩანს, დროთა განმავლობაში მოიშალა ის სისტემა, რო-  
მელიც გულისხმობდა ნარიან მრავლობითში დასმული სახელობი-  
თის ფორმის მიერ ზმნაში მრავლობითის ფორმის გამოწვევას, ე. ი.  
დაირღვა ის სისტემა, რომელიც იდენტურ ფორმათა იდენტურ ქვე-  
ვაზე იყო აგებული. სახელობითში დასმული ქვემდებარე და დამა-  
ტება განემსგავსნენ ერთმანეთს. ამას დაერთო მიცემითის ფორმის  
სინტაქსური ძალის გაზრდა (რიცხვში შეთანხმების თვალსაზრისით).  
ქვემდებარე-დამატების გათიშვა სიტყვათგანლაგებასაც დაეტყო:  
პირდაპირი დამატება ზმნა-შემასმენლის წინ გადმოვიდა და კონტაქ-  
ტურად დაუკავშირდა მას.

გარდამავალ ზმნასთან დაკავშირებით ისიც უნდა აღინიშნოს,  
რომ ძველ ქართულში გარდამავალი ზმნის ქვემდებარისა და დამა-  
ტების ფუნქციური დაპირისპირების ფაქტს პოზიციითა დაპირისპი-  
რების ფაქტიც ეთანხმება: პირველს უჭირავს შემასმენლის წინა პო-  
ზიცია, მეორეს — მომდევნო. თანამედროვე ქართულში ამ ტრადი-  
ციამ ნაწილობრივ იცვალა სახე: ორივე სახელი შემასმენელს ძირი-  
თადად წინ უძღვის, ოღონდ ქვემდებარე უპირატესად დამატების

წინამავალია. სახელთა წინ გადმონაცვლებას ბუნებრივად მოჰყვა შემასმენლის უკან გადაწევა. მაშასადამე, სამწევრა წინადადებაში შემასმენლის პოსტპოზიცია აბსოლუტურია და მისი ადგილი ბოლოკიდურს ემთხვევა.

ამრიგად, შეიძლება დავასკვნათ, რომ ერთ-ერთი მიზეზი შემასმენლის ბოლოკიდურობისა თანამედროვე ქართულში გახდა პირდაპირი დამატების წინ გადმოწევა.

მეორე მნიშვნელოვანი ცვლილება, რომელიც განიცადა სიტყვათგანლაგებამ და რომელიც შეიქნა ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი შემასმენლის უკან გადაწევისა, არის მსაზღვრელ-საზღვრულის წყობის შეცვლა.

როგორც ცნობილია, ძველ ქართულში სხვადასხვა სახის მსაზღვრელი საზღვრულის მიმართ სხვადასხვა პოზიციას იჭერს. მაგალითად, რიცხვითი სახელით, აგრეთვე ზოგიერთი ნაცვალსახელით გამოხატული ატრიბუტული მსაზღვრელი პრეპოზიციურია, ხოლო წოდების, ხელობა-პროფესიისა და თანამდებობის აღმნიშვნელი მსაზღვრელები და მართული სახელები — პოსტპოზიციური<sup>19</sup>. მაგალითისათვის ავიღოთ: **წამებამ წმიდისა ჰაბოაისი**. ეს ფრაზა ორ სინტაგმად დაიყოფა: **წამებამა ჰაბოაისი** და: **წმიდისა ჰაბოაისი**. პირველ სინტაგმაში მთავარი სიტყვა — მმართველი უსწრებს დამოკიდებულს — მართულს, მეორეში — პირუკუ: დამოკიდებული სიტყვა — შეთანხმებული — უსწრებს მთავარს — შემთანხმებელს.

ამგვარი ურთიერთობა მთავარსა და დამოკიდებულ სიტყვებს შორის მსაზღვრელ-საზღვრულის სინტაგმაში სისტემური ჩანს ძველი ქართულისათვის.

დროთა განმავლობაში ქართული ენა დაადგა უნიფიკაციის გზას და ყველა სახის მსაზღვრელი — ატრიბუტულიცა და მართულიც — მოექცა საზღვრულის წინ.

მაშასადამე, თუ ძველ ქართულში რამდენიმე სხვადასხვა სახის მსაზღვრელი შეიძლებოდა თითქმის სიმეტრიულადაც კი განაწილებულიყვნენ საზღვრულის წინ და მომდევნოდ, თანამედროვე ქართულში იმავე სახის მსაზღვრელები გარკვეული თანამიმდევრობით უნდა

<sup>19</sup> ეს სახელები პოსტპოზიციურნი არიან, თუ საკუთარ სახელს სხვა ატრიბუტით არ მოეპოვება (მაგ., **თამარ მეფე**). მაგრამ, თუ საზღვრულს დამატებითი სპეციფიკური ატრიბუტით აღსავს, მაშინ წოდების აღმნიშვნელი სიტყვა საზღვრულის წინ ინაცვლებს, მახასიათებელი ატრიბუტი კი — მომდევნოდ (მაგ., **გიორგი მეფე**, მაგრამ: **მეფე გიორგი ბრწყინვალე**).

დალაგდნენ საზღვრულის მხოლოდ ერთ მხარეს — მარცხნივ — პრეპოზიციურად.

ყოველივე ეს იწვევს სიტყვათგანლაგების სტილისტიკური მხარის რამდენადმე დაკნინებას, რადგანაც გვთავაზობს გამარტივებულ, მაგრამ ერთფეროვან რიგს ერთი მიმართულებით ჩამწკრივებულ მსაზღვრელებისას, რომელთა ზედიზედ წარმთქმნისას სუსტდება მათი განსაზღვრებითი ძალა (იმის გამო, რომ ისინი სინტაგმის აზრობრივი ლერძისკენ მიმავალ გზაზე გვხვდებიან). ვინაიდან მმართველი საზღვრულები ხშირად გამოდიოდნენ და გამოდიან ქვემდებარისა და პირდაპირი დამატების როლში, ეს უკანასკნელნი კი ძველ ქართულში უშუალოდ მოსდევდნენ შემასმენელს, თანამედროვე ქართულში სინტაგმის წევრთა ადგილენის გაცვლისას არ ირღვევა შემასმენელთან კონტაქტურობის პრინციპი, რის შედეგადაც შემასმენელი აღმოჩნდება მთელი სინტაგმის შემდეგ.

როგორც ჩანს, შემასმენლის უკან გადაწევა და მსაზღვრელ-საზღვრულის წყობის შეცვლა ერთმანეთთან მჭიდრო კავშირშია, ისევე როგორც შემასმენლის მოძრაობა მარცხნიდან მარჯვნივ მჭიდროდ უკავშირდება პირდაპირი დამატების წინ გადმოწევას.

წინასწარ სავარაუდებელი და პრინციპულად დასაშვებია, რომ ძველი ქართულის სისტემის ფარგლებში ამგვარივე ფუნქციური დამოკიდებულება შეიძლებოდა ყოფილიყო სინტაქსურ ურთიერთობათა და სიტყვათგანლაგებას შორის ზმნის შემცველ შეხამებათა შემთხვევაშიც. კერძოდ, ზმნა, როგორც მმართველი მიცემითში დასმული სახელისა და შეთანხმებული — სახელობითში დასმული სახელის მიერ, წინ უნდა უსწრებდეს მათ, უფორმო სიტყვებს კი უნდა მოსდევდეს. მართლაც, ძირითადი მმართველი სიტყვა — ზმნა ხშირად დასტურდება წინადადების თავსა და შუაში<sup>20</sup>.

დროთა განმავლობაში მომხდარი ცვლილებების — უნიფიკაციის ტენდენციის განხორციელების შედეგად (სახელობითისა და მიცემითის სინტაქსური ძალის გათანაბრება, სინტაგმის მმართველი წევრის პოზიციური გათანაბრება შემთანხმებელთან...) სიტყვათგანლაგების ძველი სისტემა მოიშალა, მაგრამ მასში მოქმედი წესების კვალი არ გამქრალა და რიგ შემთხვევაში მყარდება.

თანამედროვე ქართულში ასეთი სისტემის გამოვლენა ძნელდება, რადგან აქ სიტყვათგანლაგება გაცილებით სტიქიური ჩანს,

<sup>20</sup> ა. კიზირია, შემასმენლის ადგილი წინადადებაში. კრებულში „ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში“, III, თბილისი, 1950, გვ. 43.

ვიდრე ძველ ქართულში. თუმცა ენა „გაერთმნიშვნელიანების“ გზას ადგას სიტყვათგანლაგების თვალსაზრისით; იმავე დროს გვერდს ვერ ავუვლით ძველი ქართულის დანალექსაც. ასე რომ, თანამედროვე ქართული ჩვენთვის საინტერესო კუთხით ერთგვარ „მინარევად“ გვესახება. მასში შეიძლება ორი პლასტის გამოყოფა: 1. ძველი ქართულის ფენისა და 2. საკუთრივ ახალი (თანამედროვე) ქართულის ფენისა. ამ ორი ფენის თანაარსებობა ნიშანდობლივია სიტყვათგანლაგებისათვის ახალი (თანამედროვე) ქართულის მარტივ წინადადებაში.

შეიძლება დავასკვნათ, რომ ძველ ქართულში სიტყვათგანლაგება სისტემის ნიშნებს ატარებდა, მაშინ როცა თანამედროვე ქართულის მიმართ შეიძლება ვილაპარაკოთ მხოლოდ ნორმაზე, რომლის ჩამოყალიბების ერთ ძირითად ფაქტორად ტრადიცია არის საგულგებელი<sup>21</sup>.

---

21 ამ ფონზე თანამედროვე ქართულში სიტყვათგანლაგების ფუნქციის შეფასება, ცხადია, სტილისტიკურის სასარგებლოდ უნდა გადაწყდეს. ოღონდ „სტილისტიკურის“ საპირისპირო — გრამატიკული ფუნქცია არ ამოიწურება მხოლოდ წინადადების წევრთა დიფერენცირებით. ჩვენს ხელთ არსებული მასალის მიხედვით, ქვემდებარე-დამატების ამოცნობის ფუნქცია სიტყვათგანლაგებას მხოლოდ საკუთარ (ადამიანთა) სახელების კონტექსტში აქვს დაკისრებული (იხ. აბრამ შვაიხაყ — ტიპის წინადადებები). ამასთან, ეს ფუნქცია, შეაჯერად რომ ვიმსჯელოთ, არც შეიძლება წმინდა გრამატიკულად (სინტაქსურად) ზაითვალოს, ვინაიდან, ცნებები — „ქვემდებარე“ (სუბიექტი), „დამატება“ (ობიექტი) უფრო სემანტიკური ხასიათისაა, ვიდრე გრამატიკულისა: არც ერთი ამ ცნებათაგანი არაფერს გვეუბნება მათი სინტაქსური ბუნების შესახებ.



მესამე კავშირებითი თანამედროვე ქართულ  
სალიტერატურო ენაში

თანამედროვე ქართულ სალიტერატურო ენაში მესამე კავშირებითი ყველაზე ნაკლებად ხმარებული ნაკვთია.

სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ მესამე კავშირებითის ნაცვლად ხშირად თანამედროვე ქართულში გამოიყენება მეორე თურმეობითი<sup>1</sup>. კერძოდ, ცნობილია, რომ პირობითი და მიზნის გარემოებითი დამოკიდებული წინადადების შემცველ რთულ წინადადებაში მესამე კავშირებითის ცვლის მეორე თურმეობითი<sup>2</sup>.

მესამე კავშირებითის ხმარების ძირითად შემთხვევებზე მსჯელობისას შ. ძიძიგურს აღნიშნული აქვს, რომ „ამ კონსტრუქციებში III კავშირებითი არაა ერთადერთი მწკრივი. მის ადგილას რომ II თურმეობითი ჩაესვათ, ეს იქნება სრულიად ნორმალური კონსტრუქცია თანამედროვე მეტყველებაში... თანამედროვე ქართულ სალიტერატურო მეტყველებაში მეტი ხვედრითი წონა აქვს სათანადო კონსტრუქციებში II თურმეობითის შემცველ ფორმებს“<sup>3</sup>.

ცნობილია პირუკუ შემთხვევაც. ერთ-ერთ სპეციფიკურ ნიშნად რაჭული დიალექტისათვის, რომელმაც საერთოდ ყველაზე მტკიცედ შემოინახა III კავშირებითის ფორმები, მიჩნეულია მეორე

<sup>1</sup> ა. შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, თბილისი, 1973, გვ. 223; შ. ძიძიგური, ქართული დიალექტოლოგიური ძიებანი, თბილისი, 1970, გვ. 250; ა. კიზირია, ქართული ენა, თბილისი, 1974, გვ. 109; ე. ფეიქროშვილი, მესამე სერიის მწკრივები ახალ სალიტერატურო ქართულში, საქანდიდატო დისერტაცია, ქუთაისი, 1972 წ.

<sup>2</sup> ლ. კვაჭიძე, ქართული ენის სინტაქსი, თბილისი, 1958, გვ. 246; ლ. გეგუჩაძე, დროთა თანამიმდევრობის საკითხისათვის რთულ ქვეწყობილ წინადადებაში, საქანდიდატო დისერტაცია, თბილისი, 1974, გვ. 23, 74, 75.

<sup>3</sup> შ. ძიძიგური, დასახელებული ნაშრომი, გვ. 250.